საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიტყვაა, ტყეილებით და ჭორებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკეთესობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 20 ივნისი. 2022 წ. №76 (9414) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

რევოლუციური საკენკი ევროდეპუტატებისთვის!

ევროკომისიის მოსაზრებაა: კანდიდატის სტატუსი უკრაინასა და მოლდოვას, საქართველოს – არა!

ევროკომისიის 12 მოთხოვნა, რა უნდა გააკეთოს საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისაღებად?!

②

მიდექ-მოდექით, ნაცებო!

„ჩემო კარგო ძვეყანავ“!..

ნუგზარ ფოფხაძე:

„ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს!“

②

რატომ არ ინგრევა ჯუტინის რეჟიმი?

③

„ხელები ნაჯახს, ამხანაგებო!“ ④

„დამაგნეველი!“, „გამოგნეგზელი“!

⑤ როგორ ალიქვეს მაკრონის პოზიცია საქართველოში?!

„სირცხვილია“ ევროპა ④

უკრაინაში საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე დაიღუპა!

უკრაინაში დაღუპული კიდევ ერთი ქართველი მებრძოლის **ალუდა ზვიადაურის** საქართველოში გადმოსვენებისთვის მუშაობა მიმდინარეობს. ამის შესახებ უკრაინაში საქართველოს ელჩმა გიორგი ზაქარაშვილმა განაცხადა.

„სამწუხაროდ, დაიღუპა საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე, ყველაზე ცხელ წერტილში, ბახმუდის მიდამოებში, ანუ სევეროდონეცკთან. ახლა ვმუშაობთ, რომ მოხერხდეს მისი გამოყვანა და საქართველოში გადმოსვენება“, – განაცხადა ზაქარაშვილმა.

ქართული ანბანის სამი ⑨ სახეობის ცოცხალი კულტურა...



SOS! ევროკომისიამ საშემოდგომო გამოგვაყოლა

„ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს!“

ერთხელ, იმ ავადსახსენებელ ეპოქაში, „მოამბის“ საერთაშორისო ექსპერტმა, ცხონებულმა აბონ ციციაშვილმა, მორიგ მიმოხილვაში დატუქსა აშშ-ის პრეზიდენტი და ტელემაყურებლებს შესძახა: ეტყობა, რეიგანს დაავიწყდა ძველი ქართული ანდაზა „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!“

ამ რეპლიკის შემდეგ ბარემ ორმოცზე მეტი წელი გავიდა, რეიგანიც მიიცვალა, უსაყვარლესი აბონიც, მაგრამ არცთუ იშვიათად ღიმილით ვიგონებთ ისტორიას შემორჩენილ ამ ფაქტს.

●

როცა ევროკავშირში გამართული ბრიფინგი დამთავრდა, რატომღაც ეს „ისტორია“ გამახსენდა. ვიფიქრე: ცხონებული აბონი რომ ამ ბრიფინგს შესწრებოდა, ნაღდად შესძახებდა ამ ჩემი რეპლიკის სათაურში გამოტანილ იმ ქართულ ანდაზას, რომელიც ქალბატონ ურსულას „გადაავიწყდა“, როცა ევროკავშირში საქართველოს გაწევრების გადავადების მიზეზებს ჩამოთვლიდა (უკრაინა-მოლდოვის დუეტის თვალსაჩინო(!!!) მიღწევათა საპირისპიროდ).

საქართველოში პოლიტიკური ტემპერატურა რომ ამ დღეებში ნორმაგადაჭარბებულია და, უახლოეს მომავალში, კიდევ უფრო მოიმატებს, ეს სწორედ ევროკავშირის (და არა მარტო) მაღალჩინოსანთა, რბილად რომ ვთქვათ, „გულმავიწყობას“ (?!) შეიძლება მივაწეროთ. უფრო მეტიც, საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი (!) ნაწილის თვალში, მათ ობიექტურობასაც პაწა უნდობლობაც შეემატა.

ქალბატონი ურსულა და მისი კოლეგა-კომისრები ეგებ, გაოცდნენ კიდეც, ეჭვები რატომ გრგღნიანო.

რატომ და იმიტომ, რასაც ქვემოთ კომპეტენტური პიროვნების – ნათია ღვინიაშვილის პოსტში წაიკითხავთ: მხოლოდ ფაქტები!

დიახ, მხოლოდ ფაქტები, თანაც, ჩვენი მოგონილი კი არა, ავტორიტეტული საერთაშორისო სტრუქტურების მიერ აღიარებული.

თხოვნა მაძვს: ევროკავშირის მთავარ ინფორმატორს, მუსიკოსსა და მომღერალს, წარმოსადეგ და სიმპათიურ ელჩს, ბატონ კარლ ჰერცელს გადაუთარგმნოს ეს ფაქტები საგარეო საქმეთა სამინისტროს!

საზღვარგარეთ მოღვაწე ჩვენმა ელჩებმა კი ყველა ევროპული ქვეყნის საგარეო უწყება ამ მასალით „გაანათლოს“ და მერე ადეკვატური შეკითხვა დასვას: რატომ?.. რისთვის „გვსჯიან“ ასე „უტიფრად“?..

„გაანათლონ“ იმიტომ კი არა, რომ მართლა „ბნელა“ და არ იციან ეს „სიმართლე“, არამედ იმიტომ, რომ დიპლომატიურად, ტაქტით „პირში მიახალონ“ მწარე სიმართლე და მიანიშნონ: საქართველოში ბრმა და ყრუ არვინ არის, წერა-კითხვაც ვიცით და კომპიუტერის ხმარება. კალკულატორისაც!

მახსოვრობასაც არ ვუჩივით: არ ვიგიწყებთ მათ, ვინც ცდილობს, ჯიუტი და უდიერი ბავშვივით თავში წამოგვარტყას და დაგვტუქსოს; გვახსოვს ისც და ისინიც, ვინ და რატომ გვითხრა უარი ერთა ლიგაში გაწევრებაზე; რა დაგვავიწყებს 1918-21 წლებს“.

ეჭვი „გვიღიტინებს“: მაშინაც და ახლაც მიზეზი ერთია, „ბებერ ევროპას“ ეშინია (!!!) „დათვის“ გაღიზიანების და საკუთარ „ჩასვრას“ და კიდევ სხვა „რაღაცეებს“ (!!!) ფარავს დემაგოგიური „ლაი-ლაით“, ბრალდებების და დატუქსვის ელფერი რომ დაჰკრავს.

ღიმილის მომგვრელია მომიზეზებაც: დემოკრატული რეფორმები და პოლარიზაცია კი არა... კვახი!

ეს არის და ეს!

ახლა კი გაეცანით ქალბატონ ნათია ღვინიაშვილის პოსტიდან ამონარიდს, რომელიც აცამტვერებს ყველას თუ არა, ძირითად „ბრალდებებს“ მაინც, რომლებიც გაისმა ევროკავშირში გამართულ ბრიფინგზე:

ა) იუსტიციის რეფორმა: მსოფლიო სამართლიანობის პროექტის (World Justice Project) მონაცემებით: საქართველო – 49-ე ადგილი 139-დან, უკრაინა – 74-ე, მოლდოვა – 73;

ბ) კორუფცია: საერთაშორისო გამჭვირვალობის (Transparency International) მიერ გაზომილი კორუფციის აღქმის ინდექსი 2021: საქართველო – 45-ე ადგილი, უკრაინა – 122-ე, მოლდოვა: 105

გ) ორგანიზებული დანაშაულიო: მსოფლიოს კრიმინალური ინდექსის მიხედვით: საქართველოს აქვს 23,38 ქულა, უკრაინას – 47,42, მოლდოვას – 46,35 (ყველაზე მაღალი კრიმინალის დონეა ვენესუელაში – 83,76).

დ) სიტყვის თავისუფლება 2021 (რეპორტიორები საზღვრების გარეშე Reporters Without Borders: საქართველო მე-60 ადგილი, უკრაინა – 97, მოლდოვა – 89; პრესის თავისუფლება (მსოფლიო ბანკი World Bank): საქართველო – 28,64, უკრაინა – 32,96, მოლდოვა: 31,61. (საუკეთესო მსოფლიოში არის ფინეთი – 6,99)“.



„ჩემო კარგო ქვეყანავ“, სულ წინ და მაღლა!

ნუგზარ ფოფხაძე

რევოლუციური საკენკი ავადმყოფი ოპოზიციისთვის! მიდექ-მოდექით, ნაცებო!

ევროკომისიის მოსაზრებაა: კანდიდატის სტატუსი უკრაინასა და მოლდოვას, საქართველოს - არა!

ევროკომისიის 12 მოთხოვნა რა უნდა გააკეთოს საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისაღებად?!

ევროკომისიის დასკვნით, საქართველომ უნდა მიიღოს ევროკავშირში გაწევრების პერსპექტივა. თუმცა, უკრაინისა და მოლდოვისგან განსხვავებით, კანდიდატის სტატუსისთვის, 12 მოთხოვნა უნდა შეასრულოს. ევროკომისიის რეკომენდაციით, საქართველო წევრობის კანდიდატი გახდება, თუკი:

- **აღმოფხვრის პოლიტიკურ პოლარიზაციას.** ამ საკითხებზე უნდა იმუშაოს ყველა პარტიამ, „19 აპრილის შეთანხმების სულისკვეთების დაცვით“;
- ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი გამართულად იმუშავებს. გაიზრდება მათი დამოუკიდებლობა, ანგარიშვალდებულება და დემოკრატიული ზედამხედველობა მათზე. **ხელისუფლება გაითვალისწინებს ეუთო-ოდირის, ევროპის საბჭოსა და ვენეციის კომისიის დასკვნებს საარჩევნო სისტემაზე;**

იხ. 5 გვ.

ᲡᲐᲥᲛᲔ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲣᲤᲠᲝᲐ ᲪᲣᲓᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲪᲣᲓᲐᲓ ᲠᲝᲐ, ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ... ᲐᲠᲕᲘᲜ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲔᲕᲠᲝ�პᲣᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ

„ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲰᲓᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲖᲔ ᲐᲠ ᲒᲐᲡᲪᲔᲡ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲐ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲖᲔ, ᲔᲡ ᲓᲘᲓᲬᲘᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲡᲔᲕ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲔᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲠᲔ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲒᲐᲛᲝᲛᲗᲮᲠᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ“, — აცხადებს ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე,** რომლის შეფასებით, ამ პროცესში ხელისუფლების ბრალია ის, რომ ზედმეტად უსვამდა თავზე ხელს ამ დესტრუქციულ ჯგუფებს.

ცხადია, რომ საქართველოს ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანების დაპირება ერთგვარი გეოპოლიტიკური იარაღი გახდა. მაგალითად, ნახევარი საუკუნის წინ თურქეთმაც მიიღო იგივე დაპირება, რომ გახდება ევროკავშირის ოჯახის წევრი, მაგრამ დღემდე ღია კარში დგას. თურქეთის მსგავსად მოგვიწევს თუ არა ღია კარში დგომა, ეს დამოკიდებულია იმ რეკომენდაციების შესრულებაზე, რომელიც ქვეყანამ მიიღო.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო იზიარებს იგივე პოტენციალს, რომელიც უკრაინასა და მოლდოვას აქვს, საქართველო ე.წ. ტროიკიდან ამოვარდა. ევროკომისია უკრაინას და მოლდოვას რეკომენდაციას აძლევს მიიღოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი. კომისია რეკომენდაციას უწევს საბჭოს, საქართველოს მიანიჭოს ევროპული პერსპექტივა და შემდეგ დაუბრუნდეს და შეაფასოს, თუ როგორ აკმაყოფილებს საქართველო პირობებს კანდიდატის სტატუსის მინიჭებამდე.

ᲝᲠᲒᲖᲔᲠᲓᲘᲐᲜ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲒᲐᲬᲔᲠᲘᲚ ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲕᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲕᲠᲝᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ ᲗᲘᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚᲘ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲗᲕᲐᲚᲡ 2022 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲐᲓᲔᲕᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲛᲐᲗ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲮᲔᲚᲐᲮᲐᲚ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐᲡ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲡ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ 12-ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲐᲜ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲔᲑᲡ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲫᲕᲔᲛᲬᲜᲐᲨᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲤᲮᲕᲠᲐᲡ ᲔᲮᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲔᲞᲝᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ 19 Ა�პᲠᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲐ.

რეკომენდაცია ასევე ეხება სახელმწიფო ინსტიტუტების გამართულ ფუნქციონირებას, მათ შორის სასამართლო სისტემას და აღნიშნულია, რომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასამართლოს მთლიანი და ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა. კიდევ ერთი რეკომენდაცია ეხება მედიას.

ევროკომისია მოუწოდებს საქართველოს უზრუნველყოფილი იყოს თავისუფალი, დამოუკიდებელი მედიაგარემო. ხოლო მედიასაშუალებების მფლობელების შემთხვევევაში, სამართლებრივი დავები წარიმართოს უმაღლესი სამართლებრივი სტანდარტების დაცვით. აქვე ნახსენებია ჟურნალისტებზე ძალადობის ფაქტების ეფექტური გამოძიება. ასევე სახელმწიფოს მოსთხოვეს უმცირესობების უფლებების დასაცავად ძალისხმევის გაზრდა.

რეკომენდაციაში ასევე აღნიშნულია ანტიკორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობის გაძლიერებაზე და ყველა ძირითადი ანტიკორუფციული ფუნქციის გაერთიანებაზე ხელისუფლების მაღალ ეშელონებში კორუფციის შემთხვევების წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომების მიღების მიზნით; კიდევ ერთი რეკომენდაცია ეხება „დეოლიგარქიზაციის“ ვალდებულების შესრულებას — ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გავლენიანი წრეების ჭარბი გავლენების აღმოფხვრის გზით. ასევე, საუბარია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება საფრთხეების დეტალური შეფასების საფუძველზე.

ევროკომისიის პრეზიდენტი, **ურსულა ფონ დერ ლაიენი** ამბობს, რომ საქართველო იმავე მისწრაფებასა და პოტენციალს იზიარებს, რასაც უკრაინა და მოლდოვა. ამბობს, რომ საქართველოს განცხადებას აქვს სიძლიერე, განსაკუთრებით ბაზრებზე ორიენტირებული ეკონომიკა, ძლიერი კერძო სექტორი, რათა წარმატებას მიაღწიოს. თუმცა, აქვე ამბობს, რომ ქვეყანა უნდა გაერთიანდეს პოლიტიკურად, რათა ნათელი გზა დასახოს სტრუქტურული რეფორმებისა ევროკავშირის მიმართულებით. **„გზაზე, რომელიც ნათლად განსაზღვრავს შესაბამის რეფორმებს, სამოქალაქო საზოგადოებისა და ფართო პოლიტიკური მხარდაჭერის თვალსაზრისით, იმუშაოს საქართველომ. ჩვენ რეკომენდაციას ვაძლევთ საბჭოს, საქართველოს მიენიჭოს ევროპული პერსპექტივა, შეაფასოს, როგორ ასრულებს პირობებს, ვიდრე მივანიჭებთ მას კანდიდატის სტატუსს“,** — განაცხადა **ურსულა ფონ დერ ლაიენმა.**

დღის ბოლოს ევროკომისიის გადაწყვეტილებას გამოეხმაურა ევროკავშირის ელჩი საქართველოში **კარლ ჰარცელი,** რომლის განცხადებით, ევროკომისიის მოსაზრება საქართველოს შესახებ, ფხიზლად ყოფნის მომენტია. მისი თქმით, როდესაც შედეგებს ვუყურებთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საქართველომ ნაკლებად ხელსაყრელი მოსაზრება მიიღო, ვიდრე უკრაინამ და მოლდოვამ და ეს არის გზავნილი, რომელიც სერიოზულად უნდა იყოს მიღებული.

„როგორც უკვე ვთქვი, ეს საქართველოსთვის ფხიზლად ყოფნის მომენტია და როგორც ადრინდელი გაფართოების პროცესების ისტორიამ და გამოცდილებამ აჩვენა, საბოლოოდ, ბურთი თითოეული ცალკეული ქვეყნის მოედანზეა. იმ პროცესში, რამაც ევროკავშირში მკვეთრი გაფართოება და 2004 წელს 10 ახალი წევრის შეერთება გამოიწვია, განმცხადებლების უმეტესობას აღმავლობებისა და ჩავარდნების თავისი წილი შეხვდათ.

რაც შეეხება დეოლიგარქიზაციას, როგორც აღნიშნული იყო კომისიის მოსაზრებაში ისევე, როგორც უკრაინასთან და მოლდოვასთან დაკავშირებით, მთავარია არ იყოს ზეგავლენა ქვეყნის დემოკრატიაზე და საბაზრო ეკონომიკაზე. გამოწვევები ყველა ქვეყანაში არის განსხვავებული, ისევე როგორც მიდგომები ამ გამოწვევების დაძლევასთან დაკავშირებით.

ეს არის ცხადი საკითხების ჩამონათვალი, მაგრამ ამჟამად, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია საქართველოს მზადყოფნა და უნარი, შეუდგეს მუშაობას პრიორიტეტების ამ ჩამონათვალის შესასრულებლად, რაც მოითხოვს ყველა პოლიტიკური პარტიის, ისევე როგორც სხვა სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი ხელისუფლების და სამოქალაქო საზოგადოების და ასევე სხვების ჩართულობას“, — აცხადებს **კარლ ჰარცელი.**

პარტია „ქართულო ოცნების“ თავმჯდომარის, **ირაკლი კობახიძის** განცხადებით, კანდიდატის სტატუსის მისაღებად ევროკომისიის მიერ წაყენებული პირობები ზუსტად ემთხვევა ასოცირების დღის წესრიგს, ისედაც გვქონდა ვალდებულება აღებული და შესაბამისი რეფორმები განხორციელდება. რაც შეეხება ერთ-ერთ რეკომენდაციას, სადაც საუბარია დეოლიგარქიზაციაზე, ირაკლი კობახიძის განცხადებით, სააკაშვილი არის ერთ-ერთი ცნობილი ოლიგარქი, დღეს ის ციხეშია და დეოლიგარქიზაციისკენ კონკრეტული ნაბიჯი უკვე გადაიდგა.

„ჩვენ გვყავს ძალიან ცნობილი ოლიგარქები საქართველოში და ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ცხრა წელი ძარცვავდნენ ქართველ ხალხს და ქართულ სახელმწიფოს. მაგალითად, სააკაშვილი არის ერთ-ერთი ცნობილი ოლიგარქი და შეგახსენებთ, რომ დღეს ის ზის ციხეში და დეოლიგარქიზაციისკენ კონკრეტული ნაბიჯი უკვე გადაიდგა, მან თავისი ნებით გააკეთა პრინციპში ეს ყველაფერი, თავისი ნებით ჩაჯდა ციხეში, ეს ერთი. კეზერაშვილი, მეორე ოლიგარქი, რომელზეც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და, რა თქმა უნდა, დეოლიგარქიზაციისთვის მნიშვნელოვანია, ეს საქმე იყოს ბოლომდე მიყვანილი.

ოლიგარქების დასრულება არის ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა. როდესაც საუბარია ოლიგარქიზაციაზე, აქ არ არის ნაგულისხმევი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც არის ბიზნესმენი თავისი კონკრეტული წარსულით. თუმცა იმ ადამიანებმა, რომლებმაც ძარცვეს ქვეყანა ცხრა წლის განმავლობაში, რა თქმა უნდა, იქნება საუბარი ამ დოკუმენტში და არა მარტო ამ დოკუმენტში. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ამ ოლიგარქებისგან ჩვენი ქვეყანა გავათავისუფლოთ“, — განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

ანალიტიკოს **დავით ქართველიშვილის** შეფასებით, კითხვები მრჩება, ორ მოცემულობას შორის, როდესაც 2020 წლის სექტემბერში ევროკომისარმა ჟოზეფ ბორელმა მიწასთან გაასწორა უკრაინაში მიმდინარე რეფორმების ტემპი, უმწვავესი ციტატით, რომ „უკრაინა ევროკავშირის მხოლოდ ბანკომატად განიხილავს“, ის უფრო მართალი იყო, თუ ევროკომისარი დღეს, რომელმაც აქო და ადიდა უკრაინული რეფორმირების 70%-იანი შესრულების მაჩვენებელი.

„მტყუან-მართლის ძიებაში ვარ. როდესაც ქალბატონმა ურსულამ უკრაინის სასამართლო სისტემის და ანტიკორუფციული სამსახურის სრულყოფილებაზე ისაუბრა, დავინტერესდი — ევროპის რომელ ქვეყანაში შეიძლება განვითარებულიყო შარშანდელი მოვლენები, როდესაც კიევის ცენტრში ანტიკორუფციული სამსახურის ეკიპაჟები დაედევნენ ქვეყნის უშიშროების სამსახურის ეკიპაჟებს, იქიდან კორუმპირებული მოსამართლის გამოხსნის მიზნით.

კიდევ ერთხელ ვულოცავ უკრაინას, თუნდაც პირობადადებულ, ამ გამარჯვებას. ამ ყველაფრის ფონზე, რა თქმა უნდა, ვიზიარებ საქართველოს ევროკავშირის წევრობის პერსპექტივის აღიარებას, მიუხედავად იმისა, რომ არც გეოგრაფიულად ვყოფილვართ თურმე ევროპაში და არც ომი მიმდინარეობს ჩვენთან. ვნახოთ, რითი დასრულდება ეს ჩვენი პერსპექტივა ომის გარეშე, მშვიდობიან პერიოდში, მით უმეტეს, რომ გეოგრაფიულად ჩვენ ისევ იქ ვრჩებით, სადაც აქამდე ვიყავით“, — ამბობს **დავით ქართველიშვილი.**

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲥᲐᲠᲩᲐᲕᲐ

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲜᲒᲠᲔᲕᲐ �პᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ?

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ �პᲣᲢᲘᲜᲘᲡ რეჟიმი 20 წელზე მეტს ითვლის და მიუხედავად არაერთი შიდა თუ გარე რყევისა, სამოქალაქო დაპირისპირებების თუ მეზობელ ქვეყნებთან წარმოებული ომებისა, ეკონომიკური თუ სოციალური არასტაბილურობისა, კვლავაც ინარჩუნებს მდგრადობას. პუტინის ძალაუფლება ვერ შეარყია უკრაინასთან წარმოებულმა ომმაც, რომლის გამოც რუსეთი, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული თვალსაზრისით, ნამდვილ გარიყულ ქვეყნად იქცა. რუსეთი მოექცა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ეკონომიკური სანქციების ქვეშ, რამაც თითქმის 10%-ით შეამცირა მისი ეკონომიკა.

- **რას ეშუძნება პუტინის ძალაუფლება;**
- **რატომ გაძლო პუტინის აშენებულმა სისტემამ ამდენი ხანი და ნაცვლად ჩამოშლისა, როგორ გახდა კიდევ უფრო სასტიკი და აგრესიული;**
- **რატომ არ ასრულდა რუსული ოპოზიციის პროგნოზი, რომელიც პუტინიზმის გარდაუვალ კრახს წინასწარმეტყველებდა;**
- **როლის გამოიღებს თვალსაჩინო შედეგს რუსეთისთვის დაწესებული უპრეცედენტო სანქციები.**

ᲘᲮ. 8 ᲒᲕ.

„ხელები ნაჯახს, ამხანაგებო!“

17 ივნისს, პარასკევს, ბომბი გასკდა საქართველოში. ვერავინ გაიგო, ეს ბომბი საავიაციო იყო თუ საარტილერიო, ოღონდ მაგრად კი იქუხა და შედეგიც დამზაფვრელი მოჰყვა: ყველამ, დიდმა თუ პატარამ, მანამდე ყოვლად უენომ და ჩლუნგმა, თუ ისედაც ენაზე მიბმულმა და ქვეყნის დამყრუებელმა, ენა იშიშვლა და ხალხის ხერხვა დაიწყო, რაც გუშინ დ გუშინწინ უკეთური აზრები დაიფრქვა, მთელი ეს ბოლო ათი წელი არ ღირსებია ქვეყანას.

ევროსაბჭოს კომისიის გადაწყვეტილებაზე, ამ ორგანიზაციის უმაღლესი ინსტანციისთვის გამიზნულ რეკომენდაციაზე მოგახსენებთ: ვერ მივიღეთ „მაპ-ზე უკეთესი“ – ევროსაბჭოს წევრობის კანდიდატობა. უკრაინამ მიიღო, მოლდოვამ მიიღო, ჩვენ – ვერა (არა). ჩვენ კანდიდატობის კანდიდატობა-ევროსაბჭოს პერსპექტივა ჩამოგვკიდეს მედალივით „ევროპისთვის ბრძოლაში მონაწილეობისთვის“.

ოღონდ ეს მოულოდნელობა მთლად მოულოდნელი არ ყოფილა. ორიოდ დღით ადრე ევროპარლამენტმა მოგვითავა ხელი თავისი ერთობლივი რეკომენდაციით, ბოლოს კი პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა-თავისი ბრიფინგითა და რიყეზე გამართული მდუმარე პანაშვიდით. რაღაც იმედი მაინც გვიჭიატებდა (მოგეხსენებათ, ქართველები ოპტიმისტები ვართ, თუმცა, რითი საზრდოობს ჩვენი უსაზღვრო ოპტიმიზმი, ვერავინ აგიხსნის). ახლა ამ მოჭიატე იმედმა ექვსი თვით მაინც გადაიწია. ეს იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ამ ვადაში შეასრულებს ევროკომისიის რეკომენდაციებს.

რეკომენდაციები კი ისეთია, მათ შესრულებას დათქმული ექვსი თვის ნაცვლად კაი ოთხჯერ ექვსი თვე მაინც დასჭირდება: პოლიტიკური პოლარიზაციის მოგვარება შარლ მიშელისეული 19 აპრილის სულისკვეთებით (იცოცხლე, კარგი იყოს, მაგრამ ექვს თვეში ნიკა მელიასთან, ნიკა გვარამიასთან, „ლელოსთან“ და მთელ იმ ლეგიონთან შერიგება როგორ წარმოგიდგენიათ?); გამჭვირვალე და ეფექტური სასამართლო რეფორმის განხორციელება (მართლაც, რა ქრისტეს პერანგი გახდა ეს სასამართლო რეფორმა!); იუსტიციის საბჭოს რეფორმირება; საარჩევნო ჩარჩოს გაუმჯობესება და ა.შ. დასასრულს კი... დეოლიგარქიზაცია (როგორია, ა?!).

ამასობაში 2024 წლის ოქტომბერიც მოგვადგება და შემოგვიღრენს, აბანოში გამოჩნდება შავი და თეთრიო. ჰოდა, დაიწყება მესამე მსოფლიო ომის ქართული ვარიანტი და ევროპა, როგორც ბევრი სხვა რამ, ახლაც გვერდზე დაგვრჩება.

ერთი სიტყვით, ჩვენს რადიკალურ დანასისხლად მყოფ ოპოზიციას სამკვდრო-სასიცოცხლოდ საძულველი ხელისუფლების შეცვლის, ჩამოგდების, გადაგდების, გარეკვის შანსი, უფრო სწორად, ასეთი შანსის მსგავსი რამ მიეცა. ათი წელიწადია იგი გადატყაული მუხლებით და მაღლა აპყრობილი ხელებით ამ შესაძლებლობას ითხოვს ღვთისა და ამომრჩევლისგან, ყველა ხავსს ეჭიდება კბილებითა და ფრჩხილებით, ყველა ქიმერას ეპოტინება ჩასისხლიანებული თვალებით, რევოლუცია კი ვერა და ვერ შვა. და, აი, გამოჩნდა ევროკომისიის გამსკდარი საპნის ბუშტისგან გაჩენილი იმედი. ხალხი „აღელდა“, „ადუღდა“ და შეიქმნა „ორთქლის გამოშვების“ საჭიროება. და, აი, 20 ივნისს დიდი სახალხო გამოსვლაა დაგეგმილი!!!

შესაბამისმა განცხადება-მოწოდებებმაც არ დააყოვნა.

გიორგი კობერიძე, ჯიპას პროფესორი: ევროკავშირის უარი ერთდროულად უმძიმეს შიდა და საგარეო პოლიტიკურ შედეგს გვიქადის, თანაც ძალიან გრძელვადიანს.

გია ხუხაშვილი, მარად და მუდამ ხელმოცარული ორაკული: საქართველო პოლიტიკური კატასტროფის წინაშეა, რჩება ერთადერთი გზა-შეიცვალოს ხელისუფლება!

ნიკა მელია, დიდი: დასავლეთმა მკაფიოდ გვითხრა-დეოლიგარქიზაცია მოხდება? მოგვიკაკუნეთ და ჩვენი კარი კვლავ ღიაა (ნ. მელია დიდი კია, მაგრამ ჩვეულებრივად მელიობს, ევროსაბჭოს რეკომენდაციათაგან უმთავრეს პირობად ბიძინა ივანიშვილის მოშორებას მიიჩნევს, დეპოლარიზაცია კი თითქოს ჯიბეში ედოს!).

ნაცთა უმთავრესს მხარს უბამს პატიმარი **ნიკა გვარამია:** ერთადერთი პასუხი, ერთადერთი გამოსავალი – საქართველო ივანიშვილის გარეშე, სანამ ჯერ კიდევ გვაქვს დრო!

მიშა სააკაშვილმაც შვა საპროგრამო სიტყვა: დეოლიგარქიზაცია ერთჯერადი გამოსვლით არ მიიღწევა (მხედველობაში აქვს 20 ივნისის „გრანდიოზული“ აქცია), ამისთვის საზოგადოების განგრძობადი აქტივობაა აუცილებელი.

ვანდეად ქცეულ წალენჯიხაში ლიტერატურულ ფორუმზე შეკრებილმა მწერლებმა (**რატი ამაღლობელი, თეონა დოლენჯაშვილი, პაატა შამუგია** და სხვ.) ქართველ ხალხს მოუწოდეს: ახლა მთელი პასუხისმგებლობა თითოეულ მოქალაქეზეა, შემოუერთდით 20 ივნისის აქციას! როგორ ჰგავს ეს ცნობილი რუსი მწერლის ჩერნიშევსკის ასევე ცნობილ მოწოდებას – **ხელები ნაჯახს, ამხანაგებო**!

ეჰ, რა გასაკვირია, რომ საქართველოში ოფიციალურად უკვე შემოაბიჯა ახალმა ეპიდემიამ – მაიმუნის ყვავილმა!

მუდმივად ჩასაფრებულმა **ჭიჭე ვაშაძემ** (სიყვარულით ასე უწოდებენ ოპონენტები), როგორც კი შემწვრის სუნი იყნოსა, უმალ შემართა მორგვივით კისერი და ამოუშვა სამოქმედო გეგმა-მდგომარეობიდან გამოსავალი: შეიქმნას და ქვეყანას სათავეში ჩაუდგეს დროებითი კოალიციური მთავრობა, რომელიც უხელმძღვანელებს რეკომენდაციების შესრულებას, ე.ი. ქვეყანას საევროპოდ მოამზადებს.

საბელადოდ მარად მზად მყოფ ამ კაცს აშკარად არ სწყალობს ბედი. მისი ბრძენკაცობისა და სამშობლოს გადამრჩენობისა არავის სწამს და თვითრეკლამირება უწევს. იმ დროებითი კოალიციური მთავრობის თავმჯდომარედ, რაღა თქმა უნდა, თავის თავს მოიაზრებს და დარწმუნებული ვარ, ძილის წინ სარკესთან რეპეტიციებსაც გადის კინოფილმ „უდიპლომო სასიძოს“ პერსონაჟის – ფერმის გამგე ნიკოლოზის მსგავსად, სიზმარში რომ დისერტაციას იცავს. ამიტომაც რჩება ჭიჭე იგი მხოლოდ ურეიტინგო „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერად.

არანაკლებ კატეგორიული იყო ფსევდოლელოელი მძვინვარე ნაცი **სალომე სამადაშვილი,** გამოსავალი ერთადერთია – ხელისუფლება უნდა გადადგესო. ოღონდ, ის კი არ უთქვამს, მის ადგილზე ვინ უნდა მოვიდეს. უთუოდ საყოველთაოდ საძულველ, დასაგმობ ნაცებსა და მათი ხელის ბიჭ ლელოკუდებს გულისხმობს.

აძვე სათქმელად: ჯერჯერობით ხელისუფლებას გადადგომის, გადახტომის, გადაბარგების არავითარი სურვილი არ დასტყობია და, დარწმუნებული ვარ, არც დაეტყობა. კვლავაც შეღერებული (თუმცა, აშკარად ცოტა ყურებჩამოყრილი) დგას და ცდილობს ევროპაში ნაწვნევი გლახა მარცხი გვაზეიმოს (აძაოდა, ევროკომისიის მიერ გამომეტებულმა „ევროპის პერსპექტივამ“ რალაც იმედი მაინც დაგვიტოვაო!), როგორც საკაშვილმა გამარჯვებად გვაზეიმა ომში დამარცხება 12 აგვისტოს.

ასეთია დღეს ვითარება საქართველოში. ახლა ქვეყანას გამხნევება და მხარში დგომა სჭირდება. არა ისე, როგორც პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი გვამხნევებს: რაც მოგვივა დავითაო, მხოლოდ (ყველა – ა.ა.) შენი თავითაო. დღეს ფარ-ხმალი არ უნდა ჩამოვყაროთ (დავყაროთ – ა.ა.), რაც მთავარია, ევროპას არ გადავუგდივართო.

საქართველო კი უევროპოდაც ცოცხლობს, სუნთქავს, თავის საქმეს აკეთებს წყნარად, თავისთვის. უხმაუროდ ჩაიარა ამ დღეებში – 14 ივნისს აღსრულებულმა ერთმა დიდებულმა საქმემ: წალკის რაიონში ტურისტებისთვის გაიხსნა უნიკალური დაშბაშის კანიონი, რომელზეც გადებულია უნიკალური 240 მეტრის სიგრძის შუშის ხიდი – „ბრილიანტის ხიდი“, ინვესტიცია 120 მილიონ ლარს შეადგენს. ამიტომაც ვერ მალავდა ხიდის გახსნისას კმაყოფილებას პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი.

რა, არ არის „საკმაყოფილო“ და თავმოსაწონებელი ეს მოვლენა? არ უნდა გაეშუქებინათ უმაღლეს დონეზე ჩვენს ტელევიზიებს, თავიანთ გადაცემებს“ სენსაციებით“ რომ იწყებენ, თუ როგორ აუწია მამამ შვილს ყური ორიანის მიღებისთვის და როგორ დააპატიმრეს ის „კაციჭამია მამა“ სისხლის სამართლის ამა და ამ მუხლით, ან როგორ დაუპირა გაუპატიურება სიძემ სიდედრს!..

ალეკო ასლანიშვილი

„სირცხვილია“ ევროპა

საუკუნეთა სიღრმიდან

დღეს 20 საათზე რუსთაველზე ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეთო – კაკანებენ საქართველოს ევროპული მომავლით მოვაჭრე ხელმოცარული პოლიტიკანები, „ენჯეოშნიკები“ და მათ დაკრულზე მოცეკვავე ჩვენი გასაცოდავებული თანამემამულენი.

აღნიშნული აქცია 2019 წლის 20 ივნისის არშემდგარი სახელმწიფო გადატრიალების 3 წლისთავს ეძღვნება, ნაცპროპაგანდა და მისით დაბოლებული საზოგადოების ნაწილი რამდენიმე მომიტინგის შერყეული ჯანმრთელობის გამო თვალების დათხრის ღამედ რომ ნათლავს, თაოსანი კი სამოქალაქო აქტივისტთა დამკვრელური რაზმეული გახლავთ, თავს „სირცხვილიას“ რომ უწოდებს.

თვითლუსტრაცია თუ გნებავთ, უკეთესს ვერც ინატრებთ. დიახ, მართლაც რომ სირცხვილია, მოვლენათა ეპიცენტრში ტრიალებდეს ძალა, ოპოზიციის რადიკალურ დაჯგუფებასთან ორგანულად რომაა შეზრდილი და სისტემატური დესტრუქციით სამართალდამცავთათვის ქრონიკულ „რუსის ბარაბანადაა“ ქცეული.

დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, საპროტესტო მუხტით გულანთებულ კანტიკუნტ მეამბოხეებს მალევე ჩამოართმევენ მიკროფონს მარადმწვანე ორატორები, რომელთა უმეტესობას ზურგს რამდენიმეპროცენტიან ფსევდოპარტიათა ლიდერობა რომ უმაგრებთ, თავყრილობის მთავარი მიზეზი კი თითქმის აღარავის გაახსენდება.

დიახ, რაღა დროს გავრილოვის წყეული ღამის პერსონაჟებით სპეკულირებაა – ჯერ ხომ არც გაციებულა ახალთახალი „სატოპკე“ საბაბი – ჩვენი სამშობლო პრორუსული მთავრობის მოღალატური მოღვაწეობის გამო ევროკომისიამ ასოცირებული ტრიოდან ჩახსნა და განუსაზღვრელი ვადით დატოვა თამაშგარე მდგომარეობაშიო.

ენას მართლაც რომ არა აქვს ძვალი: ეს ის ევროკომისია არ არის, მოლდოვას დსთ-ს წევრობასა და ამ ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის პატიმრობაზე რომ დახუჭა თვალი და ყოფნა-არყოფნის ზღვარზე აღმოჩენილი უკრაინის კანდიდატურას ხურდასავით მიაბა?

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, ამ ფაქტის გამამართლებლად მოგონილი საბუთი – ნდობას იმიტომ ვუცხადებთ, უამრავი ლტოლვილი რომ მიიღო ცეცხლის ალში გახვეული, გმირულად მეომარი მეზობელი სახელმწიფოდანო, თითქოს ჩვენ ან ოკუპირებული ტერიტორიები გვაკლდეს, ან ასიათასობით მშობლიური კერიდან დევნილი.

მაშ, რატომ გავქრით რადარებიდანო? – კითხულობს ბევრი, იმით კი არავინ ინტერესდება, შინაურ შადიმანთა და გარეულ მოსყიდულ ვაიმეგობართა სიმრავლის ფონზე ევროპულ პერსპექტივას როგორღა მივაღწიეთ, რომელიც, თუ გულწრფელნი ვიქნებით, დიდად არაფრით ჩამოუვარდება დაწინაურებული დუეტის „აღზევების“ შანსებს.

მაგალითად, თურქეთის დასახელებაც კმარა, რომელსაც, ნატოს წევრობის მიუხედავად, უკვე 23 წელიწადია, ევროკავშირში არ უშვებენ. დაუმატეთ ამას ის უამრავი პუნქტი, შესასრულებლად საშინაო დავალების სახით რომ მიართვეს ჩაროზად ჯერჯერობით მოზეიმე ჩვენს ყოფილ მოკავშირეებს.

და მთავარი – როცა მათი გამოსაცდელი ვადა ამოიწურება და ბობოლა „დერჟავათა“ თავკაცები დნეპრისა და დნესტრისპირეთისკენ მოწყალე თვალით გადაიხედავენ, კაცმა არ იცის, საერთოდ იარსებებს კი ან რამდენად სიცოცხლისუნარიანი იქნება მაშინ ხსენებული სტრუქტურა – ბრექსიტის შედეგად ინგლისის გასვლამ ხომ სათავე დაუდო, როგორც ყველა ხელოვნურად შეკოწიწებული წარმონაქმნის ადრე თუ გვიან, ევროკავშირის რღვევის შეუქცევად პროცესს?

მიდი და ნუ გაგახსენდება ამ დროს სულმნათი სულხან-საბას მიერ ბედკრული სამშობლოსთვის შემწეთა მოძიების სურვილით ატალახებული ევროპელ მონარქთა მისაღებები, ხელცარიელი რომ გამოისტუმრეს კავკასიისკენ ბრძენი მოაზროვნე და უკიდეგანო ჩრდილოეთში უკანასკნელი ამოსუნთქვისთვის გაწირეს.

სხვათა შორის, სიმბოლურია, ლუი XIV-ის მსგავსად, ყველაზე დიდხანს რომ აყურყუტა ვერსალში ორბელიანი, ფრანგი რომ გახლავთ ევროკომისიის თავმჯდომარე ქვეყნის პრეზიდენტი ემანუილ მაკრონიც, გეოგრაფიული მდებარეობის გამო რომ დაგვიწუნა...

გია პლატონიშვილი

ევროკომისიის 12 მოთხოვნა, რა უნდა გააკეთოს საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისაღებად?!

(მეორე გვერდიდან)

- მიიღებს გამჭვირვალე და ეფექტიანი სასამართლო რეფორმის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას. დაიწყებს მის განხორციელებას. **„უზრუნველყოფს სასამართლო სისტემის მთლიან და ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას, ანგარიშვალდებულებასა და მიუკერძოებლობას“.** ამ პროცესში სხვა პოლიტიკური პარტიებიც უნდა ჩაერთონ. სასამართლო ინსტიტუტებმა და პროკურატურამ დამოუკიდებლად და გამჭვირვალედ უნდა იმუშაონ. მოსამართლეები და იუსტიციის უზენაესი საბჭოს წევრები ასევე გამჭვირვალედ უნდა ინიშნებოდნენ;
- გააძლიერებს ანტიკორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობას და **ეფექტიანად გამოიძიებს ელიტური კორუფციის შემთხვევებს**. გააძლიერებს სპეციალურ საგამოძიებო და პირადი მონაცემების დაცვის სამსახურებს. უზრუნველყოფს მათ ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას;
- აიღებს და შეასრულებს „დეოლიგარქიზაციის“ ვალდებულებას. **აღმოფხვრის იმ გადაჭარბებულ ზეგავლენას, რომელიც პირად ინტერესებს აქვთ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაზე;**
- გააძლიერებს ბრძოლას ორგანიზებულ დანაშაულთან და ეფექტიანად გამოიძიებს სამართალდარღვევებს. სამართალდამცავი ორგანოები იქნებიან ანგარიშვალდებულები და გამჭვირვალე;
- შექმნის თავისუფალ, პროფესიონალურ, პლურალისტურ და დამოუკიდებელ მედიაგარემოს. **„სამართალწარმოება მედიასაშუალებების მფლობელების წინააღმდეგ უპასუხებს უმაღლეს სამართლებრივ სტანდარტებს“.** ხელისუფლება ეფექტიანად და დროულად გამოიძიებს ჟურნალისტებზე ძალადობის საქმეებს;
- **სასწრაფოდ დაიცავს მოწყვლადი ჯგუფების უფლებებს.** ეფექტიანად გაასამართლებს მათზე მოძალადეებს და ამ ძალადობის დამკვეთებს;
- „გააერთიანებს ძალისხმევას“ გენდერული თანასწორობისთვის და ქალთა წინააღმდეგ ძალადობასთან საბრძოლველად;
- ჩართავს სამოქალაქო საზოგადოებას გადაწყვეტილებების მიღებაში „ყველა დონეზე“;
- მიიღებს კანონს, რომელიც უბიძგებს ქართველ მოსამართლეებს, „პროაქტიურად გაითვალისწინონ საკუთარ მსჯელობებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებები“;
- **ახალ სახალხო დამცველად დაინიშნება დამოუკიდებელი ადამიანი.** დანიშვნა იქნება გამჭვირვალე, მისი სამსახური — ზეგავლენებისგან თავისუფალი.

* * *

ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურზულა ფონ დერ ლაიენმა კომისიის შეფასების წარდგენისას თქვა, რომ საქართველოსთვის **„ევროპის კარი ღიაა და ახლა ჯერი მასზეა“.** გადაწყვეტილება საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის, (ხოლო უკრაინისა და მოლდოვისთვის — პერსპექტივასთან ერთად, კანდიდატის სტატუსის) მინიჭებაზე უნდა მიიღოს ევროპულმა საბჭომ, რომელიც აერთიანებს ევროკავშირის 27-ვე წევრი ქვეყნის ლიდერს. მათი შეხვედრა 23-24 ივნისს, ბრიუსელში გაიმართება. ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ საბუთში ნათქვამია, რომ კომისია შეაფასებს საქართველოს პროგრესს 2022 წლის ბოლოს.

სანდრო გვინდაძე

„დამაბნეველი!“, „გამაოგნებელი“!

როგორ ალიძვეს მაკრონის პოზიცია საქართველოში?!

საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის განცხადება, რომელმაც საძართველო „გეოპოლიტიკურად სხვა ადგილას“ მონიშნა, ძართულ საელჩოს წრეებში საგანგაშო გზავნილად ალიძვეს, ხოლო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის თაობაზე გადაწყვეტილების მოლოდინი კიდევ უფრო დამძიმდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ოფიციალური თბილისი ჯერ დუმს.

ინფორმაციისთვის: საუბარია მაკრონის მიერ მოლდოვაში ვიზიტისას გაკეთებულ კომენტარზე: „პირადად მე მკაფიო და პოზიტიური სიგნალის გაგზავნა მსურს, მაგრამ ევროკავშირის წევრებს შორის ერთიანობას უნდა მივაღწიოთ. ვერ გამოვყოფთ უკრაინისგან მოლდოვას იმ პერსპექტივაში, რომელსაც ვაძლევთ. კანდიდატის სტატუსის მინიჭება არის ის, რაც ევროკავშირს მართებს რეგიონის მიმართ. საქართველო ასევე მაგიდაზე იქნება, როგორც პოტენციური კანდიდატი, მაგრამ გეოპოლიტიკურად სხვა ადგილას“. საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის დამფუძნებელი, წარსულში საქართველოს ელჩი უკრაინასა და რუსეთში **ვალერი ჩეჩელაშვილი** მაკრონის პოზიციას დამაბნეველსა და გამაოგნებელს უწოდებს:

„ეს განცხადება იყო დამაბნეველი და გამაოგნებელიც: ჩანს, რომ მოლდოვა მაინც უკრაინასთან ერთად მოიაზრება, ჩვენ სამწუხაროდ, ამ ტრიოში (ასოცირებული ტრიო) აღარ ვართ, მაგრამ გამოდის, რომ მაკრონმა თავისი განცხადებით საერთოდ ევროპული სივრციდან გაგვწია! ევროპის კონფიგურაცია დიდი ხანია, მოხაზულია, მას შემდეგ, რაც ჩვენ ევროპის საბჭოს წევრი გავხდით და ამაში ეჭვი არავის უნდა ეპარებოდეს“, — აღნიშნავს ჩეჩელაშვილი თემის კომენტირებისას და ეჭვს გამოთქვამს, რომ ამ მიმართულებით პრეზიდენტ ზურაბიშვილის პოტენციალი გამოყენებული არ არის:

> **„ჩვენ მაკრონისგან სხვა რამეს ველოდით, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა, ქალბატონმა სალომემ თავისი პირველი სახელმწიფო ვიზიტი საფრანგეთში განახორციელა 2019 წლის თებერვალში, დაფუძნდა ამილახვარის სახელობის დიალოგი, იყო შეფასებები, რომ ჩვენ ახლა ევროკავშირში ძალიან ძლიერი მხარდამჭერი გვყავს — საფრანგეთი, რომ ის თანმიმდევრულად დაგვიჭერს მხარს. გამოდის, რომ ურთიერთობების პოტენციალი, რომელსაც მაშინ ჩაეყარა საფუძველი, საერთოდ არ გამოგვიყენებია! თუ ვინმეს შეუძლია ამის გამოსწორება, ეს პრეზიდენტია. ყველანი მოველით, რომ მისი კონტექსტების გათვალისწინებით, როგორმე მოხერხდეს ამ პოზიციის ცვლილება იმ მომენტისთვის მაინც, როდესაც საკუთრივ საფრანგეთი სტატუსთან დაკავშირებით მიიღებს გადაწყვეტილებას ჩვენს ბედზე. ეს რიგითი განცხადება არაა! ჩვენ არავითარ სხვა სივრცეში არ ვართ! ჩვენ ევროპის განუყოფელი ნაწილი ვართ! ვართ კარიბჭე, რომელიც ევროპას აზიისკენ უხსნის გზას! სიზუსტე ძალიან მნიშვნელოვანია!“**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელი, ისტორიკოსი **ბექა კობახიძე** მაკრონის პოზიციაზე პასუხისმგებლობას სრულად საქართველოს ხელისუფლებას აკისრებს: **„დავხედოთ რუკას: საქართველო გეოგრაფიულად სრულიად ხელოვნურად იყო ჩასმული ამ პაკეტში, რადგან საქართველო იყო კავკასიაში ერთადერთი პროდასავლური ქვეყანა. დიდი მოთამაშეები, ოდითგან, პაკეტში უყურებენ პატარა ქვეყნებს. ცალკე საქართველო ვერასდროს იქნება მნიშვნელოვანი, თუ რეგიონულ სინერგიაში არ არის ის ჩართული. კავკასიაში ეს პაკეტი რომ არ გამოდის, ამიტომ უკრაინას და მოლდოვას მიგვაწებეს ასოცირების ტრიოში. ამ ტრიოში ვიყავით ლიდერები და ამ ტრიოს დაუდგა ისტორიული შანსი. ამ დროს, ხელისუფლება დაჰყვა რუსეთის შანტაჟს და მოგვწყვიტა უკრაინა-მოლდოვას, მიგვათრევს რკინის ფარდის მიღმა. ძველ ევროპას ყოველთვის ღლიდა ჩვენი ზუზუნი და მოთხოვნები. არავინ დაიჯეროთ, რომ საფრანგეთისთვის ან გერმანიისთვის ჩვენი ევროკავშირში გაწევრება მნიშვნელოვანია და ტვირთი არაა. უბრალოდ, ჩვენ ვაყენებდით მათ, მეგობრების დახმარებით, მორალური ვალდებულებების ქვეშ და უწევდათ ყურადღების მოქცევა. ახლა, არათუ ჩვენი „ზუზუნი“ გაჩერდა, არამედ ყველაფერი გააკეთა ხელისუფლებამ, რომ ჩვენმა ყველაზე თავგადაკლულმა ქომაგებმაც ხმა არ ამოიღონ. ახლა მთელი ჩვენი „ლიდერშიპი“ ბრიუსელში უნდა იყოს და ხვდებოდეს ყველას, რომ თითო სიტყვა ყველამ შეგვაწიოს. მაკრონს ამ განცხადების გამო კისერში უნდა სწვდენოდნენ ბალტიელები, პოლონელები, ამერიკელები, უკრაინელები და ჩვენი მეგობრები ევროპარლამენტიდან. ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა რომ ამ ხალხს, არც ერთს, ხმა არ ამოეღო. ყველა ისინი, განზრახ მტრად გადაიკიდა“.**

გიორგი გოგრონიძე:

ბებერი ევროპის აღქმა განსხვავებულია!

> **სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ ევროკავშირის წევრი ძვეყნების, ე.წ. ბებერი ევროპის, კონტინენტური ევროპის აღქმა განსხვავებულია. ევროკავშირის ახალგაზრდა წევრ სახელმწიფოებს შორის, ჩვენ მიმართ სოლიდარობა უფრო მეტია და ეს კაპიტალი უნდა გამოვიყენოთ.**
>
> **EUROPETIME-თან ინტერვიუში, საერთაშორისო უსაფრთხოების მკვლევარი გიორგი გოგრონიძე განიხილავს საფრანგეთის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის განცხადებას, რომ ევროკავშირს არ შეუძლია, მოლდოვა და უკრაინა ერთმანეთისგან გამიჯნოს. საძართველო გეოპოლიტიკურად განსხვავებულ ადგილზეა.**

„გეოპოლიტიკა გულისხმობს პოლიტიკას, რომელიც ტარდება გარკვეულ გეოგრაფიულ არენაზე, როდესაც შეგიძლია თქვა — აქ არის სხვა **გეოპოლიტიკური მოცემულობა**, იქ — სხვა. რა თქმა უნდა, მათი გადმოსახედიდან, დემოკრატიული რეფორმები, როგორც კრიტერიუმი საქართველოსთვის, დღის წესრიგშია. გავიხსენოთ, ჯერ იყო საკმაოდ **კრიტიკული რეზოლუცია,** ამის შემდეგ, **ევროკომისიის დასკვნაში** ამ რეზოლუციის რეფლექსიას ვხედავთ და პრაქტიკულად, ეს რეზოლუცია **ევროკომისიის დოკუმენტში** აირეკლა. ამ ყველაფერს, **საფრანგეთის** დასაბუთებაში დაემატა **გეოპოლიტიკური მოცემულობა.** რა თქმა უნდა, მიზეზების ძებნაც იქნება, მოდით, ასე შევხედოთ — იგივე საფრანგეთი თუ გერმანია, **სამხრეთ კავკასიის** არეალს მათი ბუნებრივი ინტერესების კონტექსტში არ განიხილავს.

შესაბამისად, რა არის აქ მთავარი გამოწვევა — უნდა გავიაზროთ, როგორია ჩვენ მიმართ **ევროპისეული აღქმა** და მეორე, როგორია, **ევროპისეული** აღქმის მიღმა ის პრობლემები, რომელთა წინაშე ჩვენი ქვეყანა დგას, რადგან ჩვენ სამწუხაროდ, გაცილებით მეტი ძალისხმევა გვჭირდება, ვიდრე იგივე **მოლდოვას,** რომ გარკვეულ შედეგებს მიაღწიოს. თუნდაც, გავითვალისწინოთ მოცემულობა, რომ პრაქტიკულად, დღის წესრიგიდან არ გამქრალა რუმინეთთან მოლდოვის ინტეგრაციის საკითხი და შესაბამისად, ჩვენ, თვისობრივად განსხვავებულ მოცემულობაში ვართ. აქედან გამომდინარე, კარგი იქნება, თუ ჩვენი საგარეო პოლიტიკური დღის წესრიგი იმ მოცემულობას მოერგება, რომელშიც ახლა ვართ“...

მთავრობამ ნამახვანის შემდეგ შესაძლოა, ხუდონჰესის პროექტსაც უხელმძღვანელოს...

მთავრობა ხუდონეჰესის პროექტის გაცოცხლებას აპირებს. კონკრეტული დეტალები უცნობია, თუმცა სპეციალისტების ინფორმაციით, მთავრობასა და ინვესტორს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს. საუბარია დაახლოებით იმ მოდელზე, რომელიც ნამახვანჰესთან დაკავშირებით გახმოვანდა. სახელმწიფო ორივე შემთხვევაში აპირებს, დიდ საინვესტიციო პროექტში მთავარი როლი შეასრულოს.

როგორც დიდი კაშხლების ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ **დავით მირცხულავამ** დაადასტურა, სახელმწიფო ხუდონჰესის პროექტის გამოსყიდვის ეტაპზეა. სახელმწიფო მსხვილ ენერგოპროექტების განხორციელების საწყის ეტაპზე იქნება ჩართული, რაც ინვესტორისთვის „მწვანე შუქის“ ასანთებად პროექტის მომზადებას გულისხმობს.

„სახელმწიფო ხუდონჰესის პროექტის გამოსყიდვის ეტაპზეა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ასეთი მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ინვესტორი გავა ამ პროექტებიდან, თუმცა პერსპექტივაში ეს არ იქნება სრულიად სახელმწიფო ელსადგურები.

მთავრობა, საწყის ეტაპზე, უმნიშვნელოვანეს სამუშაოებს შეასრულებს — ეს არის ნებართვები, სოციალური საკითხების მოგვარება, მოლაპარაკებები მოსახლეობასთან, რაც რეალურად ინვესტორს ამ პროექტების შესრულებისთვის მწვანე სიგნალს მისცემს. სახელმწიფო გარკვეული პროცენტით იქნება ყველა ამ პროექტში და ეს ინვესტორების პროექტებში თამამად შეოსვლას ხელს შეუწყობს.

ვიცი, რომ მთავრობასა და ინვესტორს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს. დღეს სხვა ალტერნატივა არ გვაქვს. საქართველსოთვის ძალიან მნიშვნელოვანია ხუდონის და ყველა დიდი პროექტის განხორციელება, აუცილებლად გასაკეთებელი საქმეა. სხვა გამოსავალი არ გვაქვს თუნდაც იმიტომ, რომ მზისა და ქარის ელექტროსადგურებს ვერ ავამუშავებთ. ამდენად, ვემხრობი ამ პროექტს.

ხუდონჰესიც და ყველა სხვა მასშტაბური პროექტი, როგორიცაა ნამოხვანი და ნენსკრა, აუცილებლად განსახორციელებელია. ყველა ეს პროექტი სჭირდება ქვეყანას ენერგეტიკული პოტენციალის განვითარებისთვის და კითხვის ნიშნის ქვეშ მათი დაყენება გაუმართებელია“, — აღნიშნა დავით მირცხულავამ.

დიდი ჰესების აშენებას ყველა ენერგეტიკოსი ემხრობა, თუმცა მათი მიდგომა სახელმწიფოს როლთან დაკავშირებით სხვადასხვაა. ზოგი ფიქრობს, რომ მთავრობის უშუალო მონაწილეობა ენერგეტიკულ პროექტებში მხოლოდ დადებითი ეფექტის მომტანი იქნება, ზოგი კი ფიქრობს, რომ ეს ხელისუფლების საქმე არ არის და მან სხვა ფუნქცია უნდა იტვირთოს.

ენერგეტიკოსი **მურმან მარგველაშვილი** მიიჩნევს, რომ დიდი ჰესები და მათ შორის ხუდონი თუ ნამახვანი სახელმწიფოს ჩართულობით არ უნდა აშენდეს და ფული ინვესტორმა უნდა დახარჯოს. მისი აზრით, სახელმწიფოს ფუნქცია სწორი ორგანიზებაა.

გეჭა დანელია

კრიპტოვალუტის მოყვარულ სვანებს წმინდა გიორგის ხატზე დაფიცებამაც ვერ უშველა!

მესტია ელექტროენერგიის მოხმარების თვალსაზრისით წლიდან წლამდე რეკორდებს ხსნის. რეგიონში, სადაც ფიზიკური პირები ელექტროენერგიის საფასურს არ იხდიან, კრიპტოვალუტების გამომუშავება ხშირია, ეს კი რეგიონს ელექტრომომარაგების კუთხით პრობლემებს უკვე დიდი ხანია, უქმნის.

მესტიაში მაინერების მუშაობის გამო, ელექტროენერგიის ჭარბ მოხმარებას რომ ტურიზმზე თავისი ეფექტი ექნებოდა, ამას ჯერ კიდევ ზამთარში საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე დავით ნარმანიაც ამბობდა. ნარმანიას პოზიცია იყო, რომ სვანეთში გათიშულიყო უკანონო მაინერები, და თუ საჭიროება მოითხოვდა, ის უნდა დაყადაღებულიყო კიდეც.

დღეს სემეკის თავმჯდომარე ამბობს, რომ მიუხედავად მესტიის მცხოვრებთა დაპირებისა და მაინერების გამოვლენის მიზნით ჩატარებული სპეცოპერაციებისა, ადგილზე ელექტროენერგიის მოხმარება მზარდი ტენდენციით მაინც ხასიათდება. მისივე თქმით, არსებული ქსელი მეტ დატვირთვას ფიზიკურად ვერ უძლებს, რის გამოც ახალი ობიექტების დაერთება ვეღარ ხორციელდება.

„სპეცოპერაციები კვლავაც უნდა გაგრძელდეს. სხვა გამოსავალი არ არის. სხვა შემთხვევაში იქ არსებული სიმძლავრეები მაქსიმალურად ათვისებული და დატვირთულია, ამიტომაც ახალი ობიექტების მიერთება შეჩერებულია. მარეგულირებელი კომისიის მიღებული გადაწყვეტილებით, გადავადებულია ახალი ობიექტების მიერთება, ვინაიდან არსებული ქსელი კიდევ დამატებითი სიმძლავრეებით დატვირთვას ვეღარ გაუძლებს. ამას ასაბუთებს ენერგო პრო, როცა ითხოვს ჩვენთან ახალი მიერთებების გადავადებას. ამდენად მესტიაში მდგომარეობა პრაქტიკულად უცვლელია“, — აცხადებს სემეკის თავმჯდომარე.

თავის მხრივ, კომპანია ენერგო პროშიც ამბობენ, რომ სვანეთში ელექტროენერგიის მოხმარების შემცირების ტენდენცია არ შეიმჩნევა. უფრო მეტიც, მათი თქმით, ის ამ ეტაპზე მზარდია, რაც მათი განმარტებით, ნიშნავს იმას, რომ მაინერები კვლავ ჩართულია. როგორც ენერგო პროში აცხადებენ, კომპანია არსებული ქსელების შეკეთებას ახორციელებს, თუმცა ახალი ინვესტიციების განხორციელება მათთვის მომგებიანი არ არის. მესტიაში კრიპტოვალუტების გამომუშავებისა და მაინერების მუშაობის პრობლემაზე საუბრობს მესტიის მერი კახა ჟორჟოლიანიც. მისი თქმით, იმის გამო რომ რეგიონში ელექტროენერგიის მოხმარება მზარდია, დენის ახალი დაერთებები ვეღარ ხორციელდება, შესაბამისად, ახალი სასტუმროებისთვის საკმარისი ელექტროენერგია აღარ არის. ჟორჟოლიანის აზრით, მოსაფიქრებელია ის, თუ რა შეიძლება მოსახლეობისთვის იყოს შეთავაზებული, რომ რეგიონი ამ ჩიხიდან გამოვიდეს და განვითარება განაგრძოს.

„მე ვერ გეტყვით, რომ ეს პრობლემა ბოლომდე მოგვარებული და გადაჭრილი გვაქვს, მაგრამ იმას, რომ ამაზე უკეთესი არის ტურიზმის განვითარება და იქ უფრო მეტი შემოსავალია, ამას უკვე ვხედავ მოსახლეობა და არ უნდა რომ ერთმანეთის ხელის შეშლით ხდებოდეს რამე. აქაც ძირეულად სწორად გვაქვს პრობლემა გადასაჭრელი და დასაფიქრებელია, თუ რას შევთავაზებთ მოსახლეობას და როგორ შეიძლება ამ ჩიხიდან გამოვიდეთ. იმიტომ რომ ჩვენ უკვე მომავლის განვითარებაში პრობლემა შეგვექმნა. მაგალითად დენის ახალი დაერთებები არ ხდება, სასტუმრო არ შენდება, რადგან უკვე ვეღარ აერთებენ ქსელზე. იმდენად ჭარბი მოხმარებაა, რომ ვეღარ უძლებს ჩვენი ელექტროქსელები მოხმარებას და გაჩერებული ვართ. ჩვენ თუ გვინდა, რომ გავჩერდეთ და არ განვითარდეთ, მაშინ კი ბატონო, ასე იყოს“, — აცხადებს მესტიის მერი კახა ჟორჟოლიანი.

ცნობისთვის, მესტიაში ელექტროენერგიის ჭარბ მოხმარებზე საუბარი დიდი ხანია, მიმდიანარეობს, მათ შორის საკითხი ყველაზე მწვავედ ზამთარში იდგა, როცა ჭარბი მოხმარების გამო ადგილზე ელექტროენერგიის ავარიული გათიშვები დაიწყო. მიზეზი მესტიაში კრიპტოვალუტების გამომუშავება იყო, რომლის ფაქტების გამოვლენის მიზნით ადგილზე სპეცოპერაციები ჩატარდა. ამასთან საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ადგილობრივებმა წმინდა გიორგის ხატზეც დაიფიცეს...

წყარო: BM.GE

თამბაქოს კონტრაბანდამ არნახულ მასშტაბს მიაღწია!

თამბაქოს ინდუსტრია და მათი მაკონტროლებელი არასამთავრობოები ერთმანეთთან ბრძოლაში არიან ჩაბმულნი და საკანონმდებლო ლობირებისთვის ძალ-ღონეს არ იშურებენ. ამასობაში კი სამომხმარებლო ბაზარი უფრო დიდი საფრთხის წინაშეა. კონტრაბანდამ არნახულ მასშტაბს მიაღწია. მაგალითად, სამეგრელოში თამბაქოს მოხმარების 70% არალეგალურ პროდუქციაზე მოდის.

თამბაქოს კონტროლის ალიანსი ამტკიცებს, რომ თამბაქოს ინდუსტრია უკრაინაში მიმდინარე ომით მანიპულირებას აგრძელებს. საუბარია პარლამენტში ინიცირებულ კანონპროექტზე, რომლის თანახმადაც, თამბაქოს სტანდარტიზებული შეფუთვის ვალდებულება, შესაძლოა, 2 წლით გადავადდეს.

კანონის ცვლილების ინიციატორია კომპანია „ფილიპ მორისი“, რომელიც ცდილობს საქართველოს პარლამენტი და მთავრობა დაარწმუნოს, რომ ომის გამო (მისი რამდენიმე ბრენდი უკრაინიდან შემოდის) დროულად ვერ შეძლებს ტექნიკური საკითხების მოგვარებას და თამბაქოს პროდუქციის სადა შეფუთვით ბაზრისთვის მიწოდებას. ინდუსტრიის მოთხოვნას, დიდი ალბათობით, გაითვალისწინებენ და სწორედ ეს აღელვებთ ახლა თამბაქოს კონტროლის ალიანსში. მათი აზრით, 2-3 თვე საკმარისი დროა შესაბამისი ფერის კოლოფების დასაბეჭდად და ბაზარზე განსათავსებლად, თანაც წინა დიზაინით დამზადებულ პროდუქციას სარეალიზაციოდ 2-3 თვით დარჩენის უფლება ეძლევა. სანამ თამბაქოს ინდუსტრია და მათი მაკონტროლებელი არასამთავრობოები ერთმანეთთან ბრძოლაში არიან ჩართულნი, ბაზარზე გაცილებით დიდი პრობლემაა, რაც კონტრაბანდას უკავშირდება. მისი მასშტაბები განუხრელად იზრდება.

საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაცია „ნილსენის“ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოში მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სიგარეტის არალეგალური ვაჭრობა თითქმის გაორმაგდა და 7,5%-ს მიაღწია. ორგანიზაციამ ცარიელი კოლოფების კვლევის მეთოდოლოგიით იხელმძღვანელა და ძირითადი მიგნება უკვე წარუდგინა ასოციაციის წევრ კომპანიებს, ბიზნესომბუდსმენს და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებს.

არალეგალური თამბაქოთი ვაჭრობის შემთხვევები განსაკუთრებით დიდია რეგიონებში. „ნილსენის“ კვლევის თანახმად, თამბაქოს მოხმარებაში არაადგილობრივი ბაზრისთვის განკუთვნილი პროდუქცია ყველაზე მეტად სამეგრელოშია გავრცელებული, სადაც კონტრაბანდის წილი მოხმარების 70%-ს აღწევს.

ეკა ბაძრაძე

„ძალიან თავ-ხელმარტო ადამიანისთვის ჩქამიც შეიძლება რომ ნუგეშად იქცეს“,



– ეკო იცყოდ ოკრიდრიბ ნიკეშე

ქართულად გადმოაქნა გურამ გოგიაშვილმა

ადამიანი

უკეთუ ადამიანს წაართმევთ ან წასტაცებთ რასმე, თუნდაც სულ უმნიშვნელოს, ის ეგრევე იგულმავიწყებს, თუკი რამ მიგიცია ოდესმე მცირედ მეტი და ღირებული.

* * *

სულყოველგვარი უარყოფა თუ უკუგდება ნაყოფიერების ნაკლებობას გვიჩვენებს, სხვაგვარად თუ ვიტყვით, უკეთუ ადამიანს კარგ მინდვრად წარმოვიდგენთ, მან არცრა თავისი უსარგებლო რამ არ უნდა მოიმოქმედოს: ყოველსავე მოვლენასა და სუყოველ ადამიანში სასურველ სასუქს უნდა ხედავდეს, წვიმას ან მზის ნათებას.

* * *

უკეთუ მავანი კაცი, ქვეყნიერებისგან განდგომის სულისკვეთებით შეპყრობილი, ნებაყოფლობით ეუარება ადამიანებთან ურთიერთობას, მაშინ სხვებთან იშვიათი ურთიერთობა შეიძლება რომ ნამდვილი ჩასატკბარუნებელი რამ გახდეს.

* * *

ვინც სრულქმნილ ადამიანთა საძებნელად ანთებს თავის ფარანს, უნდა დაიხსომოს იმათი შემდეგი ნიშანი: მუდამ სიკეთის ქმნისკენ მიდრეკილი ადამიანები ისე აღწევენ მშვენიერებას, რომ თავად ამას ვერც ამჩნევენ.

* * *

ან შენ უნდა მალავდე შენს მოსაზრებებს, ან შენ თავად უნდა იმალებოდე იმათ უკან, ვინც სხვაგვარად იქცევა, იმან ან ცხოვრება არ იცის, ან წმინდა უგუნურობის ორდენს ეკუთვნის.

* * *

ადამიანს მეღისწერა უნდა სწამდეს, რაც შეიძლება რომ მეცნიერებამ აიძულოს, რა შეიძლება რომ აღმოუცენდეს ადამიანს ამ რწმენიდან: სილაჩრე, თვინიერება, სიდიადე თუ თავისუფლება, თესლზე კი არ იქნება დამოკიდებული, არამედ იმ ნიადაგზე, რაც იმას დახვდება, იმისგან კი რაგინდარა შეიძლება რომ აღმოცენდეს.

* * *

დაიხსომე, რომ სანამ გაქებენ, შენ ჯერ კიდევ შენს გზას კი არ ადგახარ, არამედ მაქებართა სასურველ გზაზე ხარ.

* * *

განმარტოებული ადამიანი მუდამ თავის თავს ღრღნის, საზოგადოებაში იმას ღრღნიან. არჩევანი იმაზეა!

* * *

გამონაკლისის შემთხვევაში ხდება, რომ ადამიანი უმაღლეს განვითარებას იმის მერმე აღწევს, როგორც კი უარყოფს თავის იდეალს. იდეალი მეტისმეტად წინ იზიდავს, რის გამოც შუა გზაში ძალა ეცლება ადამიანს და იძულებულს გაჩერება უხდება.

* * *

უკეთუ ადამიანი შეპყრობილია იმ აზრით, რომ ოდენ სიყვარულშია ხსნა ყოველივე უფრორე ამაღლებულისგან, ეს აშკარად შურიანი, ოღონდ სულ მაღლა-მაღლა მისწრაფებული ადამიანის თავჩენილი ნიშანია.

* * *

უკეთუ სულში რამდენიმე მატლი ფუთფუთებს, ეს სულაც არ მეტყველებს სულის სიმწიფეზე.

* * *

ჩვენ მუდამ ნამეტანი შორს ვართ მოყვასთაგან, ამიტომაც ხდება, რომ ზოგადად ვმსჯელობთ ჩვენს მოყვასზე, ჩვენს თავზე კი შემთხვევითი წვრილმანი თვისებებისა და საქციელის მიხედვით ვმსჯელობთ.

* * *

უკეთუ ადამიანს დავანახვებთ მიზანს, მაშინ მიზანი ისეთნაირი ხდება, რაც იმის სურვილს ეთანიერება.

* * *

ადამიანები არცთუ იშვიათად იმკიან სიყვარულსა და პატივისცემას იმ საქმეებისა და საქციელისა გამო, უკვე კარგა ხნის წინათ რომ შემოიცილა, ვითარცა გველმა ჭარი თვისი; მსგავს შემთხვევებში ისინი თავიანთ უნებურად ხშირად თავიანთივე კომენდანტები ხდებიან და მხრებზე ვკლავ ძველი ტყავის წამოსხმას ცდილობენ, და ამას იქმან არა მხოლოდ პატივმოყვარეობისა გამო, არამედ თავიანთ თაყვანისმცემელთა მიმართ კეთილგანწყობილების გულისთვისაც.

* * *

ის უმნიშვნელო ძალა, აუცილებელი იმისთვის, რათა ნავი ნაღვარევში წარიმართოს, არამც და არამც არ უნდა ავურიოთ თვითონ ნაღვარევის ძალაში, რაც ნავს გაიტაცებს. ეს ცდომილება თითქმის სუყოველ ბიოგრაფიაში ხდება.

* * *

ამაღლებულ სულს იმას კი არ უხმობენ, უზესთასი ფრენა რომ ძალუძს, არამედ იმას, მცირედ რომ მაღლდება და მცირედვე ეშვება, ოღონდ მუდმივად სიმაღლეთა თავისუფალ, ნათელ ჰაერში რომ ცხოვრობს.

* * *

...ადამიანისთვის სუყოველ სნებაში, სუყოველ წარუმატებლობაში ისეთი რისამე დანახვაა დამახასიათებელი, რის გამოც სხვა ვინმეზე უნდა იძიოს შური; ამასთანავე ის ჯერ კიდევ გრძნობს თავის თავში ძალას, და ეს ნუგეშსა ჰგვრის.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №70, 73

* * *

...ადამიანები სუყოველ სნებაში, სუყოველ უბედურებაში ხედავენ სასჯელს, ანუ ცოდვისგან განწმენდას და ნამდვილი ან წარმოსახული უსამართლობის ბოროტ გრძნობათაგან გათავისუფლების საშუალებას. ხედავს რა ესეგვარ სარგებელს, ადამიანი უკვე თავს ანებებს იმაზე ფიქრს, რომ ამის გამო საჭიროა სხვებზე შურისძიება.

* * *

ნამდვილ ცხოვრებას წართქმისა თუ ახსნა-განმარტების ისეთი თავისუფლება არა აქვს, ვითარცა სიზმართ: რამეთუ ცხოვრებაში მცირედ ნაკლები მონაგონია და თანაც ცხოვრება არცთუ ისე აულაგმავია.

* * *

რა თვალითაც არ უნდა უცქერდეს ადამიანი ადამიანებს, გინდ კეთილით და გინდ ბოროტით, იგი მუდამ ერთი ამოცანით გატაცებულთ აღმოაჩენს იმათ, სუყველას და თითოეულს ცალ-ცალკე: ის ქმნან, რასაც ხელს უწყობს კაცთა მოდგმის გადარჩენას.

* * *

ჩვეული თავმდაბლობისა გამო ადამიანი თავის ჭიქას ნახევრად დალეულს რომ ტოვებს, არ უნდა იმის გაგება, რომ სუყოველ საგანს სამყაროში აქვს თავისი ლექი და დურდო.

* * *

„ღმერთმანი, სულ არ ვიცი, რის გაკეთება მინდა, არც ის ვიცი, რა უნდა გავაკეთო“. შენს ნათვქამში მართალი ხარ, ოღონდ არცროდის არ დაეჭვდე, რომ აუცილებლად რაღაცის კეთება გმართებს!

* * *

ფაციფუცა კაცი თავის წარსულს კიდევ უფრორე მაღლა იმ წუთიდან აფასებს, რა წუთიდანაც ეხელეწიფება თავის თავში იმ წარსულის ასახვა.

* * *

ამუამად ტაკიმასხარები აღარ ტრიალებენ მეფეთა გარშემო: მეფეთ ახლა სამხედროები უყვართ. მაგრამ მანკირების ირგვლივ დღესაქამომდე იფურჩქნებიან ეს ყვავილები.

* * *

არის ერთი ლტოლვა, ყოვლის უფრორე უგვან ადამიანთ რომ ახასიათებთ – ლტოლვა მოდგმის გაგრძელების მიმართ, დროდადრო ეს ლტოლვა გვევლინება გონებისა და სულიერი ვნების სახით, მაშინ ის გარშემო იკრებს საფუძველთა ბრწყინვალე ამალას და მთელი ძალით ლამობს იმ ფაქტის დავიწყებას, რომ ის, არსებითად, არის ლტოლვა, ინსტინქტი, სისულელე, უსაფუძვლობა.

* * *

ადამიანთა სუყოველი თვისება, რაც რამ შეგნებული აქვთ, – მეტადრე თუ ვარაუდობენ ამ თვისებათა სიკაფიავესა და სიცხადეს თავიანთი გარემოცვისთვის – განვითარების სულ სხვა კანონთ ემორჩილება, ვიდრე ის თვისებები, ადამიანები რომ არ იცნობენ ანდა ცუდად იცნობენ და რომლებიც, ცხადლივ უჩინარობისა გამო, დაფარულია ბევრად უფრორე თვალდახვეწილი დამკვირებლის მზერისგან და თითქოს ამოფარებულია რაღაც მოჩვენებითს. აგრე ჩანს ეს რეპტილიათა ქერცლის ფაქიზ ჩუქურთმაში: უთუოდ შეცდომა იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ ეს სამკაული რამ ანდა იარაღია, რამეთუ სამკაულიცა და იარაღიც ოდენ მიკროსკოპში ჩანს, ანუ ხელოვნურად გაძლიერებული მზერის წიაღ, რაიც იმ ცხოველთ არა აქვთ, რომელთათვისაც ეს ყოველივე სამკაულისა და იარაღისდამაგვარი რამ იქნებოდა.

* * *

ადამიანი აზროვნებს ნამეტანი სწრაფად, გაკვრით, გზაგზა, სუყოველ საქმესა და მეცადინეობას შორის, მაშინაც კი, როს ყოვლის უფრორე საგულისო, სერიოზულ რამეზე აზროვნებს; ადამიანს ცოტა ეჭირვება მომზადება, მოჩვენების ჟამსაც კი. საქმე ისე ჩანს, თითქოს ადამიანთ თავში გაუჩერებლად მბრუნავი მანქანა უდგათ, რაც მუშაობას განაგრძობს ყოვლის უფრორე არახელსაყრელ მდგომარეობაშიც კი.

* * *

ადამიანის ხილული ზნეობრივი თვისებები, მეტადრე ისინი, რომელთაც ასეთებად მივიჩნევთ, თავიანთი გზით ვლიან, ხოლო თანამოსახელე უხილავი თვისებები, სხვა ადამიანებთან ჩვენს ურთიერთობაში არც სამკაულად და არც იარაღად რომ არ გამოიყურებიან, აგრეთვე თავიანთი გზით ვლიან, ალბათ, სრულიად სხვა გზით – იმავე ხაზებით, წვრილმანებით და ჩუქურთმით, რომელთაც სიამოვნების მინიჭება შეეძლოთ ღვთაებრივი მიკროსკოპის მფლობელი რომელიმე ღვთაებისთვის.

* * *

უამრავია ის თვისება, კაცობრიობამ რომ შეითვისა განვითარების აღრეულ საფეხურებზე ესოდენ სუსტი და ჩანასახოვანი ფორმით. თავად ეს შეთვისება არცრა აღქმას არ ექვემდებარება, ეგების საუკუნეთა გასვლის შემდეგ.

* * *

სიცოცხლე იმას ნიშნავს, რომ მუდმივად გამოვრიცხავდეთ ჩვენგან ყოვლისავე, რასაც სიკვდილი უნდა; სიცოცხლე იმას ნიშნავს, რომ ვიყვნეთ სასტიკნი და დაუნდობელნი ყოველივე იმის მიმართ, რაიც სუსტდება და ბერდება ჩვენში.

* * *

ძალა და ღონე დროდადრო ისე გაიტაცებს ხოლმე ადამიანს, რომ უკვე თავის სისუსტეთა გაძლების თავი აღარა აქვს და იმათგან იღუპება: ის კი არა, იგი წინასწარ ხედავს ამ დასასრულს, თუმცა, სხვა არცრა რამ არ სურს.

* * *

როგორც წესი, ჯარისკაცებს და მეთაურებს ბევრად უფრორე კარგი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთში, ვიდრე მუშებსა და დამსაქმებლებს.

* * *

იმისთვის, რომ საკუთარ თავს ნამდვილად დააყარო თავსიცილი, ზოგიერთებს დღესაქამომდე არ ჰყოფნით სიმართლის გრძნობა, ნიჭიერთ კი – გენიალურობა!

* * *

შესაძლებელია, სიცილსაც აქვს მომავალი! მაგის დრო მაშინ დადგება, როს იმის მტკიცება, რომ „ჯიში ყველაფერია, მავანი მუდამ არავინაა“ სისხლი და ხორცი გახდება ადამიანისთვის და თითოეულს რაგინდარა დროს შეეძლება ამ საბოლოო გათავისუფლებასთან და უპასუხისმგებლობასთან მისვლა.

* * *

მატერიალური სარგებლისთვის სამუშაოს ძიება – ამჟამად ამ მხრივ ერთმანეთის მსგავსნი არიან ცივილიზებული ქვეყნების თითქმის უკლებლივ ყველანი: ამ ადამიანთათვის სამუშაო წარმოადგენს საშუალებას და არა თვითმიზანს; ამის გამოა, რომ მაინცდამაინც შედიან სამუშაოს შერჩევაში, რამეთუ დიდი შემოსავლის იმედი არა აქვთ.

შემეცნება და ჭეშმარიტება

ბრძენი კაცის საშიშროება ის არის, რომ ის სხვებზე მეტად მიდრეკილია უგუნურების ტრფიალის ცდუნებისკენ.

* * *

შემეცნების გულისთვის ცხოვრება უგუნურებაა; და ესეგვარი ცხოვრება მაინც მხიარული განწყობილების ნიშანია. ამ იდეით შეპყრობილი ადამიანი ისევე სასაცილოდ გამოიყურება, როგორც რომ სპილო, რომელიც თავზე დგომას ცდილობს.

* * *

ცილდაწამებულია შემეცნების თვით ფასეულობა: შემეცნების გზაზე დამდგარნი ყოველთვის თავის დასაცავად ლაპარაკობდნენ იმაზე – ისინი ყოველთვის გამონაკლისნი და ბოროტმოქმედნი არიან.

* * *

ფილოსოფიის მიმდევართა შორის უნდა გავარჩიოთ ორი ხარისხისანი: ერთნი მუდამ თავიანთ დაცვაზე მოფქრალნი, მეორენი – თავიანთ მტრებზე თავდასხმის მსურველნი.

* * *

შენს ოქროს თუ დაუმუშავებელს დაატარებ, უხერხულობას შეგიქმნის; აგრე იქცევა ის მოაზროვნე, რომელიც ფორმულებს არ იყენებს.

* * *

არცრაა ადამიანისთვის უფრორე რთული, ვიდრე უსახო რამის ჩაწვდომა, ანუ ობიექტში ოდენ საგნის დანახვა და არა პიროვნებისა.

(გაგრძელება იქნება)

რატომ არ ინგრევა პუტინის რეჟიმი?

(მესამე გვერდიდან)

ფაშიზმი თუ რაშიზმი?

იელის უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი **ტიმოთი სნაიდერი** თავის ერთ-ერთ ბოლო სტატიაში, რომელიც New York Timesc-ში გამოქვეყნდა სათურით **„ჩვენ ეს უნდა ვთქვათ ხმამაღლა: რუსეთი ფაშისტური სახელმწიფოა“,** ამტკიცებს, რომ პუტინის რუსეთში გაბატონებული იდეოლოგია, რომელმაც მოსკოვი მიიყვანა დეუკრაინიზაციის იდეის პრაქტიულ განხორციელებამდე, სხვა არაფერია, თუ არა ფაშიზმი.

„დროში მოგზაური, რომელიც 1930-იანი წლებიდან დღევანდელობაში მოხვდა, იოლად ამოიცნობს პუტინის რეჟიმში ფაშისტურ რეჟიმს, — წერს ისტორიკოსი, — **Z სიმბოლო, სახალხო მსვლელობები, პროპაგანდა, ომის იდეა როგორც განწმენდის ძალადობის აქტი, მასობრივი საფლავები უკრაინის ქალაქების გარშემო — ეს ყველაფერი არ ტოვებს ადგილს ეჭვებისთვის. უკრაინის ომი არ არის მხოლოდ დაბრუნება ტრადიციულ ფაშისტურ პლაცდარმზე, არამედ ტრადიციული ფაშისტური პრაქტიკისა და რიტორიკის აღდგენაცაა. სხვა ხალხები არსებობენ იმისთვის, რომ რუსეთმა მათი კოლონიზება მოახდინოს. რუსეთი არაფერშია დამნაშავე მისი დიდებული წარსულის გამო. უკრაინის არსებობა საერთ:აშორისო შეთქმულების შედეგია. ერთადერთი შესაძლო პასუხი ომია“.**

თუმცა, ტიმოთი სნაიდერი ტოლობის ნიშანს არ სვამს გერმანულ და რუსულ ფაშიზმებს შორის. მისი თქმით, ფაშისტები, რომლებიც სხვა ადამიანებს უწოდებენ ფაშისტებს — ესაა ფაშიზმი მიყვანილი ალოგიკურ უკიდურესობამდე, ფაშიზმი, როგორც გონების უარყოფის კულტი.

„ესაა ბოლო წერტილი, სადაც სიძულვილის ენა ამახინჯებს რეალობას. ესაა აზროვნებაზე ნების ტრიუმფის აპოგეა. უწოდო სხვას ფაშისტი, როცა შენ თვითონ ხარ ფაშისტი — პუტინის მთავარი პრაქტიკაა. მე ამას შიზოფაშიზმი ვუწოდე. უკრაინელებს უფრო ელეგანტური ფორმულირება აქვთ: რაშიზმი“, — ამბობს ტიმოთი სნაიდერი.

როგორც ჩანს, გარკვეულწილად შიზოფაშიზმისა და რაშიზმის უცნაური თვისებიც განაპირობებს პუტინის რეჟიმის სტაბილურობას. კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის **მარკ ლიპოვეცკის** თქმით, რაშიზმი ერთმანეთთან შეუთავსებელი წინააღმდეგობებისაგან შედგება. **„რადგან უკრაინელები ჩვენი ძმები არიან, ჩვენ უნდა დავხოცოთ ისინი“,** — ამგვარი გამონათქვამი რაშისტებისთვის არანაირ ლოგიკურ წინააღმდეგობას არ შეიცავს.

„პირდაპირ გამაოგნებელია, თუ როგორ არის შესაძლებელი ერთ ნარატიულ ნაკადში სრულიად საპირისპირო მტიცებულებებისა და შინაარსების არსებობა: „მართალი იყო პუტინი, ომი რომ დაიწყო, დრო იყო წესრიგი დაემყარებინა“, შემდეგ კი: „ამერიკა ხელებს იფშვნეტს, როცა სლავებს ერთმანეთს უპირისპირებს“. ანდა: „რომ არა ჩვენ, ისინი პირველი დაგვესხმებოდნენ თავს“ და „ბრძოლა არ იციან, ხალხის ზურგს უკან იმალებიან“ და ა.შ. იგივე ხდება საინფორმაციო ოფიციალურ არხებზეც. რაშიზმი იდეოლოგია კი არა, კვაზიიდეოლოგიური ნარატივია. რას აკეთებს იდეოლოგია? ის არ იძლევა საშუალებას, დაინახო წინააღმდეგობები დისკურსულ თუ პოლიტიკურ კონსტრუქციასა და რეალობას შორის. რაშიზმის პირობებში ომის მხარდამჭერების განცხადებებში საერთოდ არ არის რეალობა, სინამდვილე მთლიანად გამოდევნილია, აქ ერთმანეთს ეჯახებიან საპირისპირო განსჯები, რომლებიც ერთი და იმავე იდეოლოგიური მანქანის მიერ არის წარმოებული. ანუ ადამიანი იმყოფება რაღაც ნაჭუჭში, სადაც მზა ფორმულებით ჟონგლირებს. ის, რომ ეს ფორმულები ერთმანეთს არ ემთხვევა, არავის აწუხებს. მთავარია, რომ თითოეული ფორმულა ინდივიდუალურად მოქმედებს როგორც მანტრა, როგორც შელოცვა. ჩვენ წინაშეა თითქმის მხატვრულად შექმნილი დაბინდულობა თუ სიბნელე, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ეშვებოდა“, — ამბობს მარკ ლიპოვეცკი.

პუტინიზმის ადამიანური ფაქტორი

პუტინის რეჟიმის ოპონენტები, ოპოზიციის ლიდერებისა და სამოქალაქო აქტივისტების სახით, თითქმის თხუთმეტი წელია, პროგნოზირებენ რეჟიმის გარდაუვალ ნგრევას, რაც არა და არ ხდება. პუტინის რეჟიმი, როგორც ნებისმიერი პერსონალისტური დიქტატურა, დიდწილად, დამოკიდებულია თავად დიქტატორის სიცოცხლისუნარიანობასა და შესაძლებლობებზე, ასევე იმაზე, თუ რამდენად შეუძლია მას თავისი გარემოცვის გაკონტროლება.

„პუტინის ტიპის საარჩევნო ავტორიტარიზმის პირობებში ამის გაკეთება ბევრად უფრო იოლია, ვიდრე სხვაგვარად ინსტიტუციონალიზებული ავტორიტარული რეჟიმის პირობებში. მაგალითად, სამხედრო დიქტატურებში არის ჯარი, როგორც კორპორაცია და ამ პირობებში დიქტატორს უფრო უჭირს მეგობრების დანიშვნა წამყვან თანამდებობებზე, რადგან კორპორაცია უკარნახებს: აი, ეს გენერალი უფრო დამსახურებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ უმჯობესია, სწორედ მან დაიკავოს პროვინცია №-ის გუბერნატორის თანამდებობა. პუტინს ამგვარად არავინ ეწინააღმდეგება. მის გარშემო მყოფი ხალხი თავის წინსვლას არა ინსტიტუციებს, არამედ თავად პუტინის არჩევანს უკავშირებს. და კიდევ, კვლავაც საარჩევნო (ელექტორალური) ავტორიტარიზმის ფაქტორი: მუშაობს არგუმენტი „პუტინი ხალხის მიერაა არჩეული“ (როგორ აირჩიეს, სხვა საკითხია) და მის ირგვლივ მყოფ ადამიანებს, რომლებიც იდეოლოგიურად იმყოფებიან რეჟიმის ჩარჩოებში, არაფერი აქვთ გასაპროტესტებელი. ანუ, რუსეთში ჩატარებული არჩევნების შემხედვარე, ვიღაცამ შეიძლება პუტინს უზურპატორი უწოდოს, მაგრამ მისი წრის ადამიანები, რომლებიც პუტინის ჩამოგდებას შეეცდებოდნენ, კიდევ უფრო დიდი უზურპატორები იქნებოდნენ“, — ამბობს სანქტ-პეტერბურგის ევროპული უნივერსიტეტის პროფესორი გრიგორი გოლოსოვი.

რაც შეეხება ფორმულას — „განხეთქილება ელიტაში“, რატომ არ მუშაობს ეს ფორმულა პუტინის რუსეთში? გრიგორი გოლოსოვის თქმით, ამგვარი განხეთქილება იოლად წარმოსადგენია სამხედრო დიქტატურის პირობებში:

„სწორედ სამხედრო რეჟიმებში იშვა ფორმულირება — „ელიტების განხეთქილება“. არსებობდა სამხედროების სხვადასხვა დაჯგუფება მათთვის ინსტიტუციურად მინიჭებული როლებით. როდესაც საქმე რეჟიმის დემოკრატიზაციის შესაძლებლობას ეხებოდა, ზოგი დაჯგუფება „ქორად“ იქცეოდა, ზოგი კი - „მტრედად“. ელიტების ამგვარი განხეთქილებით იწყებოდა დემოკრატიზაციის პროცესი. თუ არ არსებობს ასეთი ფიქსირებული როლები, მაშინ ძალზე რთულია ხელისუფლებაში მნიშვნელოვანი თანამდებობის დაკავება და უმაღლესი მმართველისგან განსხვავებული პოზიციების დაცვა. ასეთი რამ განხილული იქნება, როგორც არალოიალობის გამოვლინება, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს არანაირი პოლიტიკური რესურსი. ასეთ ადამიანებს მარტივად მოხსნიან. გვახსოვს ბევრი საუბარი „კრემლის კოშკებზე“, რაც უშინაარსო და აზრს მოკლებული იყო თავიდანვე, რადგან „კოშკები“, მმართველობის არსებულ სისტემაში, უძლურნი არიან მმართველის წინაშე“.

თუმცა, გრიგორი გოლოსოვის თქმით, ეს არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთში ხელისუფლების ცვლილების ერთადერთი რეალური ფაქტორი მხოლოდ ბიოლოგიური ფაქტორი შეიძლება იყოს — მმართველის სიკვდილი ან მძიმე ავადმყოფობა.

„მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც ძნელი გასაკეთებელია, არ ნიშნავს, რომ ეს სრულიად შეუძლებელია. სინამდვილეში, პერსონალისტური დიქტატურები არაერთხელ ყოფილან შეთქმულების მსხვერპლი“, — ამბობს რუსი მეცნიერი.

ომისა და სანქციების ფაქტორი

რაც შეეხება უკრაინასთან მიმდინარე ომს და დასავლეთის ძალიან მკაცრ სანქციებს, რომლებიც ამ ომს ახლავს. რამდენად მნიშვნელოვნად არყევს ეს გარემოება პუტინის რეჟიმს თუ პირიქით, მობილიზების ფაქტორად გვევლინება?

გრიგორი გოლოსოვის თქმით, სანქციების ამოქმედებიდან ჯერ მხოლოდ სამი თვეა გასული, რაც არ არის საკმარისი სანქციების ეფექტის დასანახად:

„რუსეთი ახლა ცხოვრობს დაგროვილი სახსრების ხარჯზე. დიდი ალბათობით, შემოდგომაზე უკვე საგრძნობი იქნება იმპორტისა და საექსპორტო შემოსავლების შემცირება. ეს გავლენას მოახდენს როგორც მოსახლეობის ფართო ფენების კეთილდღეობაზე, ასევე რუსეთის მმართველი კლასის შემოსავლის დონეზე. თუ რამდენად, ძნელი სათქმელია, რადგან ვითარება უპრეცედენტოა: ასეთი სანქციები არასდროს არავის მიმართ არ დაწესებულა, მაგრამ სანქციების ნებისმიერ პოლიტიკურ ეფექტზე საუბარი მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, როცა სანქციების ეკონომიკური ეფექტი სრულად გამოვლინდება. ჯერ კიდევ ადრეა“.

თუმცა მნიშვნელოვან ნეგატიურ ტენდენციებზე საუბარი უკვე შესაძლებელია.

11 ივნისს რუსეთის სტატისტიკის ფედერალურმა სამსახურმა (როსსტატმა) გამოაქვეყნა 2022 წლის პირველი კვარტლის სიღარიბის შესახებ მონაცემები, რომლის მიხედვითაც, რუსების 14,3% ანუ 20,9 მილიონი ადამიანი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება. ამასთან, ბოლო „მშვიდობიან“ კვარტალთან (2021 წლის ოქტომბერ-დეკემბერთან) შედარებით, ღარიბთა რიცხვი 8,5 მილიონითაა გაზრდილი...

და რაც ყველაზე საინტერესოა, როგორც ეკონომისტი **მაქსიმ ბლანტი** ამბობს, რუსეთის ხელისუფლებას ვითარების შესაცვლელად არაფრის გაკეთება არ შეუძლია!

10 ივნისს რუსეთის ეროვნულმა ბანკმა დირექტორთა საბჭოს სხდომის შემდეგ გამოქვეყნებულ განცხადებაში მიუთითა, რომ რუსეთის საგარეო ვაჭრობა მნიშვნელოვნად შემცირდა. მეტიც, იმპორტის კლების ტემპი უფრო მაღალია, ვიდრე ექსპორტის კლების მაჩვენებელი.

„სხვა საკითხებთან ერთად, ეს არის სერიოზული დაბრკოლება იმ საწარმოების მუშაობის აღდგენის გზაზე, რომლებიც დიდად არიან დამოკიდებულნი უცხოური მასალებისა და კომპონენტების მიწოდებაზე. ამასთან, იმპორტის ჩანაცვლებაც მოითხოვს აღჭურვილობას, რომლის მიწოდება სანქციების პირობებში არათუ არ იზრდება, არამედ კლებას განაგრძობს. ეკონომიკის უნარზე, დააკმაყოფილოს გადახდისუნარიანი მოთხოვნა, გავლენას ახდენს არა მხოლოდ ომთან დაკავშირებული საერთაშორისო სანქციები, არამედ თავად ომიც. ახალი ინდუსტრიების შექმნისა და არსებულის გაფართოებისთვის, საჭიროა არა მხოლოდ ინვესტიციები და აღჭურვილობა, არამედ ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ ამ მოწყობილობებზე მუშაობა, მაგრამ ომის პირობებში, როდესაც შრომისუნარიანი მამაკაცების დიდი ნაწილი კონტრაქტით მსახურობს თავდაცვის სამინისტროში, სამომხმარებლო სექტორის საწარმოებს უჭირთ თანამშრომლების პოვნა. უპირველეს ყოვლისა, მათ უწევთ კონკურენცია სამხედრო-სამრეწველო კომპლექსთან. ტანკების, იარაღის, რაკეტების და ჭურვების წარმოება, გასაგები მიზეზების გამო, ახლა პრიორიტეტულია და ამისთვის მთავრობა ფულს არ იშურებს. და მეორეც, თავისუფალ მუშაკებს ბაზრიდან თავად ჯარი აძევებს“, — ამბობს მაქსიმ ბლანტი, რომლის თქმითაც, რაც უფრო მეტ ჯარისკაცს კარგავს რუსეთის არმია უკრაინაში მოკლულებისა და დაჭრილების სახით, მით უფრო დიდია საჭიროება ახალწვეულებზე...

ჯიმშერ რეხვიაშვილი
„რადიო თავისუფლება“

ბაიდენი ველოსიპედით სეირნობის დროს დაეცა

შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯო ბაიდენი, დელავერში საკუთარ სახლთან ველოსიპედით სეირნობისას, დაეცა.

ბაიდენი დელავერში თავის ცოლთან ერთად, ქორწინების 45-ე საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად ჩავიდა. გავრცელებულ ვიდეოში პრეზიდენტი სხვა ადამიანებთან ერთად, ველოსიპედით სეირნობს, რა დროსაც შორიახლოს მყოფი ჟურნალისტები გარს ეხვევიან და კითხვებს უსვამენ. ჟურნალისტების მიახლოებისას ბაიდენი ველოსიპედთან ერთად გვერდულად ეცემა.

„კარგად ვარ“, – უთხრა მან ჟურნალისტებს მას შემდეგ, რაც საიდუმლო სამსახურის თანამშრომლები სწრაფად დაეხმარნენ წამოდგომაში.

ამის შემდეგ პრეზიდენტმა რამდენიმე წუთის განმავლობაში ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

რუსეთი „ვოლგისა“ და „პობედის“ წარმოების განახლებას გეგმავს

საბჭოთა ბრენდების „აღორძინების გეგმებზე“ რუსეთის ფედერაციის მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრმა დენის მანტუროვმა ისაუბრა.

„შემიძლია მცირედით გაგიმხილოთ ის გეგმები, რაც ჩვენს ავტოინდუსტრიას აქვს. საიდუმლო აღარ არის ის, რომ განახლდება „მოსკვიჩის“ წარმოება „რენაულტის“ („რენო“) ყოფილი ქარხნის ბაზაზე. კოლეგები განიხილავენ გეგმებს, რათა აღადგინონ „ვოლგის“ ან „პობედის“, ან ორივესი ერთად, წარმოება“, – თქვა მინისტრმა RBC-სთან ინტერვიუში. თავის მხრივ, ნიჟნი ნოვგოროდის გუბერნატორმა გლებ ნიკიტინმა უკვე განაცხადა, რომ იმედოვნებს „ვოლგასა“ და „პობედას“ ავტობრენდების აღორძინებას და მზად არის გაუწიოს საჭირო დახმარება.

ბიტკოინის ღირებულება ბოლო 1,5 წლის მანძილზე ყველაზე დაბალ ნიშნულამდე დაეცა

კრიპტოვალუტა ბიტკოინის ფასმა ბოლო 18 თვის მანძილზე ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია და 20,000-დოლარიან ზღვარს ჩამოსცდა.

ყველაზე ძვირადღირებული ციფრული ვალუტის ფასი შაბათს 19,085 დოლარამდე შემცირდა (7,3%-იანი ვარდნა). 2020 წლის დეკემბრის შემდეგ, ეს ყველაზე დაბალი ნიშნულია. მიმდინარე წელს ბიტკოინის ფასმა დაახლოებით 59%-ით იკლო.

გასული წლის ბოლოს მწერალთა სახლში რუსთაველის საზოგადოებამ გამართა საღამო თემაზე: „სახელმწიფო ენის პრობლემა ქართულ პოლიტიკაში“. ამ სხდომაზე პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმა დაინანა, სამწერლობო ენის თაობაზე გამართულ დისკუსიაზე მწერალთა სახლში მწერალთა სიმრავლეს ველოდიო და კითხვა დასვა – პერიფრაზი ცნობილი ლექსისა: „სად არიან მწერლები, მწერლები სად არიან?“



ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა...

ქართული ენას რომ არც დღეს ულხინს დიდად, მოსაგვარებელი პრობლემა რომ მრავლადაა, იმ საღამოზეც წარმოჩინდა...

შევთავაზეთ ბატონ გ. გოგოლაშვილს, ჩვენი გაზეთის ფურცლებიდანაც შევხმიანებოდით დედაენის პრობლემების მოგვარების საკითხს და გაგვერკვია, თუ რატომ არ აქტიურობენ მწერლები? რატომ არიდებენ თავს ამ საკითხებზე მსჯელობას?.. და აი, 2021 წლის 8 დეკემბერს ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა პროფესორ **გ. გოგოლაშვილის** წერილი **„სად არიან მწერლები, მწერლები სად არიან?“**

მიხეილ ჯავახიშვილისა და კონსტანტინე გამსახურდიას მოწოდებანი კიდევ ერთხელ შევახსენეთ ქართველ მწერლებს:

„უდიდესი ამოცანაა ენის დაწმენდა და ამ საქმის პირველი მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყვეს“ (მ. ჯავახიშვილი);

„ჩვენ – **ქართველმა მწერლებმა ხმალი უნდა ვიშიშვლოთ მშობლიური ენის თავანკარობის დასაცავადო!“** (კ. გამსახურდია).

სამწუხაროდ, ბევრი არავინ გამოგვხმაურებია და გ. გოგოლაშვილმა ამჯერად უკვე გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ წამოიწყო დიალოგების სერია „ენა და მწერალი“.

ბატონმა გიორგიმ ოთხ მწერალთან შემოგვთავაზა დიალოგი: მთარგმნელ **პაატა ჩხეიძესთან,** პოეტ **დავით შემოქმედელთან,** პროზაიკოს **თამაზ ხმალაძესთან** და კრიტიკოს **ლევან ბრეგაძესთან** („ლიტერატურული საქართველო“ №3-12, 2022).

ამ ვრცელ და შინაარსიან დიალოგებში ქართული სამწერლობო ენის მრავალ საჭირბოროტო საკითხზე იყო საუბარი: რა ხდება და რატომ? რის გაკეთებაა საჭირო და როგორ? დედაენის ბედის შემყურეს, გვაქვს კი მშვიდი ცხოვრების უფლება?!

ამ საკმაოდ ვრცელი და შინაარსიანი საუბრებიდან ის საერთო აზრი შეიძლება გამოიტანოს მკითხველმა, რომ **დედაენას ნამდვილად არ ულხინს დღეს.**

რამდენიმე ამონარიდს მოვიყვან „დიალოგებიდან“:

პაატა ჩხეიძე: „დღეს ხომ იმდენი ითარგმნება, რამდენიც არასოდეს თარგმნილა; ძირითადად მდარე ლიტერატურა ითარგმნება და... ითარგმნება მდარედ. მდარეს ეტანება მასობრივი მკითხველი, კითხულობს და გემოვნება უქვეითდება. უცხო ენა დილეტანტ მთარგმნელზე მოქმედებს და თრგუნავს, ემორჩილება და კალკით თარგმნის, ქართული ენის სიმდიდრესა და მოქნილობას არ იყენებს, მწირი ლექსიკა აქვს და გაშეშებული სინტაქსი...

დავით შემოქმედელი: „იმ ურთულესი ამოცანის გადაწყვეტას, რასაც ქართული **„ენის დაწმენდა“** ჰქვია, საკმაოდ პესიმისტურად ვუყურებ... ვფიქრობ, ქართული ენის სიწმინდის დაცვა თანდათან უფრო და უფრო გართულდება...“ „**საფრთხეებმა იმატა... მზრუნველობა მოაკლდა** დედაენას“...

თამაზ ხმალაძე: „მიხეილ ჯავახიშვილის აზრი შეგვახსენეს მწერლებს ამასწინათ, – „დედაენის პატრონობის საქმეში პირველი მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყოსო“; მაგრამ ბოლოს მახვილი ყველაზე ღრმად დედაენას მწერლობამ ჩასცა... ძალიან ვერიდებოდი ამის თქმას, მაგრამ უთქმელობაც რომ აღარ შეიძლება?!“

ლევან ბრეგაძე: „ენის საკითხებით დაინტერესებას რაც შეეხება, დღეს უცნაურ ვითარებას ვამჩნევ: **მწერლებზე მეტად მკითხველები არიან ამით დაინტერესებულნი.** ეს კარგად ჩანს სოციალურ ქსელებში...“, „მეკითხეები, მასმედიის ენაში **დღეს** უკეთესობისკენ ხომ არ შეიცვალა ვითარებაო. **უარესობისკენ შეიცვალა.** კატასტროფული მდგომარეობაა!“...

დიალოგებში წარმოჩენილი ვითარების მიზეზებზეც არის საუბარი და გამოსავალი გზების ძიებაზეც. ვფიქრობთ, მკითხველი დაინტერესდება ამ პრობლემით და ერთად ვიფიქრებთ, **როგორ და რა ვუშველოთ ქართულ ენას...** როგორ გავფანტოთ ის შავი ღრუბელი, დედაენის თავზე რომ შეიყარა... რა თქმა უნდა, **ველოდით და ველით მწერალთა აქტიურობას...**

ქართული პრესა, რადიო-ტელევიზია, ინტერნეტმედია ამ თემით უნდა დაინტერესდეს... მწერლობა ჰო და ჰო... „**ამ საქმის პირველი მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყვეს“!..** ასე იყო ოდითგანვე და ასე უნდა იყოს დღესაც.

* * *

ფაქტობრივად, „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაწყებული დისკუსია „ენა და მწერალი“ უნდა გაგრძელდეს... რაც მთავარია, სიტყვას საქმე უნდა მოჰყვეს!..

ეს ყველას საზრუნავი საქმეა! ეს დისკუსია მოწოდებაა, შეხსენებაა, გაფრთხილებაა (ამ დიალოგის სათაურიც კი: „ენა – ულმობელი მსაჯული“... ნუ წავუყრუებთ...

* * *

ჩვენი ამ შეხმიანების დასასრულს ბოლო დიალოგიდან (გ. გოგოლაშვილი – ლ. ბრეგაძე) უპრიანი იქნება ერთი, დასკვნითი, ნაწილი მოვიყვანო: ეს მსჯელობა შეიძლება ამ დიალოგების „რეზიუმედაც“ გავიაზროთ... მაშ ასე:

რატომ უნდა გავუფრთხილდეთ ქართულ ენასა და ქართულ ანბანს , რატომ უნდა ვიზრუნოთ მათი კეთილდღეობისთვის:

„გიორგი გოგოლაშვილი: – ბატონო ლევან, ერთხელ საქართველოსა და ქართველების ბედზე ვსაუბრობდით; გაუკვირდება კაცს, რამ გადაარჩინაო და შენ თქვი: „**ქართველმა ხალხმა ორი მტკიცე გალავანი შემოავლო საქართველოს – ქართული ენა და ქართული ანბანი; ამან გადაარჩინაო“...** წერილობით ეს აზრი არსად არ მინახავს, ძალიან მომწონს და მინდა დარჩეს; ხომ არაფერს დაამატებდი (ან ხომ არ დააზუსტებდი)?

ლევან ბრეგაძე: – ლიტერატურის ინსტიტუტმა, სადაც მე ვმუშაობ, 2016 წელს გერმანიაში გერმანულ ენაზე გამოსცა „ქართული ლიტერატურის მოკლე შესავალი“ – საცნობარო ხასიათის წიგნი, გზამკვლევად გათვალისწინებული ფრანკფურტის 2018 წლის წიგნის საერთაშორისო გაზრობისთვის, სადაც საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით იყო წარმოდგენილი. რეცენზია მაქვს მასზე გამოქვეყნებული და იქ ვახსენე ეგ **„ორფა გალავანი“** ასეთ კონტექსტში:

„ამ წიგნის უცხოელი მკითხველი შეიტყობს ღირსშესანიშნავ, ძნელად დასაჯერებელ ამბავს: მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო გზაჯვარედინზე მცხოვრებ მცირერიცხოვან ხალხს, დიდი და აგრესიული იმპერიების მხრივ უძლიერესი კონკურენციის პირობებში, მოუხერხებია და შეუნარჩუნებია არა მარტო ძირითადი ნაწილი სამშობლო ქვეყნის ტერიტორიისა, არამედ თავისი ენაც და, რაც მთავარია, ანბანი, დამწერლობა, რისი ქონის არავითარი „მწვავე“ საჭიროება არ არსებობს, თუ გავითვალისწინებთ, რამდენი ხალხი იყენებს სხვის ანბანს საკუთარ ენაზე გამოთქმული აზრების ჩასაწერად. ამ მოვლენას ერთადერთი ახსნა შეიძლება მოეძებნოს: **დაუოკებელი სწრაფვა ნაციონალური თვითმყოფადობის შენარჩუნებისკენ, ძველთაგანვე პატრიოტიზმის არაჩვეულებრივად მძაფრი გრძნობის არსებობა ამ ქვეყნის მოსახლეობის ყველა ფენაში.**

როცა საქართველოს არმცნობი უცხოელი მკითხველი ზემოთქმულს გაიცნობიერებს, მას ბუნებრივად გაუჩნდება ასეთი შეკითხვა: ამ „ორფა გალავნით“, ენითა და ანბანით, „შემოღობილი“ მწერლობა თავის თავში ჩაკეტილი, უცხოელებისა და ყოველივე უცხოურის მოშიში ხალხის მიერ ხომ არ არის შექმნილი? ამ ეჭვს სავსებით გაფანტავს ყველა სხვა თავი ამ წიგნისა, რომლებშიც მოთხრობილია იმ მჭიდრო ურთიერთობების შესახებ, რომელიც საქართველოს ჰქონია სხვა ქვეყნებთან და ქართული კულტურის ძველი თუ ახალი დროის მოღვაწეებს – აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის კულტურულ ცენტრებთან“.

ეს **„ორფა გალავანი“,** ერთი მხრივ, ხომ **უძნელებს უცხოელს ჩვენს კულტურაში „შემოხედვას“**, მეორე მხრივ, დიდ ინტერესსაც აღუძრავს: **რა განძი უნდა იმალებოდეს ნეტავ ამ გალავნებს მიღმა,** ასე საგულდაგულოდ რომ დაუცავთ გარეშე თვალისთვისო! – დარწმუნებული ვარ, ბევრი უცხოელი ქართველოლოგი გაიფიქრებდა ამას და ამ ბარიერების დაძლევის ჟინით აღივსებოდა. ხოლო მათი გადალახვის შემდეგ „განძსაც“ აღმოაჩენდა, რასაც ისინი შემდგომ გულწრფელად აღიარებენ ხოლმე. ბევრი ასეთი აღიარება გვსმენია მათგან.

მაგრამ სინამდვილეში გალავანი ორზე მეტია, ვინაიდან **ანბანიც სამი მოგვეპოვება და ენაც.** ის სამი ანბანი, სამივე დღესაც მოქმედი თავთავიანთ სფეროებში, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის არამატერიალურ ძეგლად რომ გამოცხადდა, ეს შენი დამსახურებაც არის, გოგი გოგოლაშვილო. ძვირფასო. და მინდა, გკითხო: **სამი ქართველური ენის თანაარსებობა თანამედროვე ქართულ სახელმწიფოში ხომ არანაკლებ საინტერესო მოვლენაა?** არც ამას აწყენდა საქვეყნოდ გახმაურება! მოკლედ, **საინტერესო ხალხი ვართ და საინტერესო კულტურა გვაქვს – უკეთ მოვლის ღირსი კულტურა!**

გ. გ.: – ნამდვილად დიდად საგულისხმო ფაქტია (მგონი ჯერ კარგად არცა გვაქვს გააზრებული!): მსოფლიოში არსებულ მრავალ ანბანთა შორის **ერთადერთია ქართული ანბანი, კაცობრიობის არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად რომ იქნა აღიარებული** იუნესკოს მიერ, **მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში** რომ შეიტანეს (2016 წელს); ამბობენ, იუნესკოს სამთავრობათშორისო კომიტეტი (150 ქვეყანა ესწრებოდა კომიტეტის სხდომას, ეთიოპიაში გაიმართა) განსაკუთრებით სწორედ „სამსახეობამ“ მოხიბლა (ნომინაციას ასე ჰქვია: **„ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“**), ფეხზე ადგომით მიაგეს პატივი და ერთხმად მიანიჭეს ქართულ ანბანს ეს სტატუსი!.. ეს პარალელიც საინტერესოა – **სამი ქართველური ენის თანაარსებობა!** არა მგონია, ბევრი შემთხვევა იყოს მსოფლიოში **ერთი ხალხი სამ ენაზე რომ საუბრობდეს და ერთი დედაენა – სამწიგნობრო ენა, საღმრთო ენა – რომ ჰქონდეს!** (პირიქით კი საკმაოდ უნდა იყოს: ერთ ენაზე რამდენიმე ხალხი რომ ლაპარაკობს...).

რა გამოდის: ორფა გალავანი, თითოეული სამსახოვანი (სამება და ერთარსება!)

და ილიასეული **„სამი ღვთაებრივი საუნჯეც“** გავიხსენოთ... გეთანხმები, ლევან, შემთხვევით არაფერი ხდება! **ამას სწორად დანახვა, გაგება და დაფასება უნდა!...**

სამების მადლი ეწეოდეს საქართველოს!..“

* * *

მე, რიგით ჟურნალისტს, რომ მკითხოს კაცმა, „დიალოგებიან“ ამ პასაჟს (და ზოგ სხვასაც) შესაბამის სასკოლო სახელმძღვანელოში შევიტანდი...

რუსუდან ქოგულია

◎ ტრიუმფი

სანდრო ბაზაძე: „რთული გზა გავიარე, მაქსიმუმი გავიღე და შედეგიც სახეზეა“

სანდრო ბაზაძე ფარიკაობაში ევროპის ჩემპიონი გახდა. ტიტულის მოგების შემდეგ ქართველმა მოფარიკავემ კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ეს დიდი შრომის შედეგია. როგორც მან აღნიშნა, მაქსიმუმი გააკეთა, ახლა კი მიზნად მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვებას ისახავს.

„უპირველესად დიდი მადლობა ოჯახის წევრებს, ასევე ფარიკაობის ფედერაციის დიდ ოჯახს. მოსამზადებელი პერიოდი ძალიან რთული გამოდგა როგორც ფიზიკურად, ასევე მენტალურად. მაგრამ ეს სპორტია, თუ არ დანებდები და ყველაფერს გააკეთებ, შედეგს აუცილებლად მიაღწევ. ამიტომ ძალიან ამაყი და ბედნიერი ვარ. კიდევ ერთხელ მადლობა მინდა ვუთხრა ჩემი გუნდის ყველა წევრს, ექიმებს, მწვრთნელებს. ეს ძალიან სასიამოვნო შეგრძნებაა, როდესაც დიდი შრომით მიაღწევ შედეგს.

ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი პერიოდი საფრანგეთში, ორლეანში გავატარე, ჩემს პირად მწვრთნელ კრისტიან ბაუერთან. რთული იყო, რადგან ბაუერი დიდი პროფესიონალი და ძალიან მომთხოვნი მწვრთნელია. ეს იყო რთული გზა დიდი შედეგისკენ, მაქსიმუმი გავაკეთე და შედეგი სახეზეა.

ძალიან რთული დღე იყო, ეს ევროპის ჩემპიონატია და იოლი მეტოქე ან იოლი ბრძოლა აქ არ არის. ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე რთული ტურნირი გამოდგა, ვეცადე, რომ მთელი დღე კონცენტრირებული ვყოფილიყავი და ყველაფერი გამომივიდა. წინ მსოფლიო ჩემპიონატია და ჩემი მიზანი, რა თქმა უნდა, საუკეთესო შედეგია. მაქვს საკმარისი ძალა, რომ კიდევ ერთხელ გამოვავლინო ჩემი მაქსიმუმი“, — თქვა ბაზაძემ.

◎ ოვალური ბურთი

აფრასიძე ფინალშია!

გელა აფრასიძის „მონპელიე“ ტოპ 14-ის ფინალში გავიდა, ხოლო ქართველი მორაგბე ნახევარფინალური მატჩის გმირი გახდა.

„მონპელიემ“ „ბორდო“ დაძაბულ ბრძოლაში 19:10 დაამარცხა, აფრასიძემ კი ორი ჯარიმა გაიტანა, თანაც გარდამტეხ მომენტში და ურთულესი პოზიციებიდან.

გელამ ჯერ 70-ე წუთზე დაახლოებით 55 მეტრიდან დაარტყა ზუსტად და იმ დროისთვის ანგარიში 16:10 გახადა, ხოლო 79-ე წუთზე 50 მეტრიდან გაიტანა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა.

აფრასიძე ამ შეხვედრაში შეცვლაზე ჩაერთო, ხოლო **მიხეილ ნარიაშვილს** არ უთამაშია. აღსანიშნავია, რომ „მონპელიე“ ტოპ 14-ის ფინალში ისტორიაში მესამედ გავიდა, თუმცა, ჯერ საფრანგეთის ჩემპიონი არასდროს გამხდარა. ამჯერად ფინალში მისი მეტოქე „კასტრი“ იქნება.

◎ ფარქვეტ

ტიტული ტიტულია!

მართალია, ზაზა ფაჩულიამ შთამბეჭდავი სპორტული კარიერა ნბა-ს ორგზის ჩემპიონის რანგში დაასრულა, მაგრამ მესამე ტიტული მაინც მოიპოვა, ამჯერად — „გოლდენ სტეიტ ვორიორზის“ საკლუბო სტრუქტურის მაღალჩინოსნის ამპლუაში, სადაც მისი ამაგის მადლიერმა შეფებმა დაასაქმეს.

თვით ფინალური სერიის მეექვსე მატჩი „მეომრებმა“ ბოსტონში „სელტიქსს“ 103:90 მოუგეს, ოქროს ბეჭდებს კი 4:2 გამარჯვების შემდეგ დაეუფლნენ. აღსანიშნავია, რომ შეხვედრის გმირი სტეფ კარი — 34 ქულა, 7 მოხსნა და 7 პასი 40 წუთში — წოდებათა რაოდენობით „მეფე“ ლებრონ ჯეიმსს დაეწია — 4-4.

სხვათა შორის, ეს ოკლენდელთა მე-4 ტრიუმფია ბოლო 8 წელიწადში, სულ კი — ისტორიაში მე-7(!).

ამასობაში საქართველოს მოქმედმა წარმომადგენელმა პროფესიულ კალათბურთში — „ინდიანას“ ცენტრმა **გოგა ბითაძემ** ინტერვიუ მისცა ფიბას ოფიციალურ ვებ-გვერდს და მოახლოებულ ევრობასკეტზე გაამახვილა ყურადღება:

„ჩვენ ჯგუფში ესპანეთი, თურქეთი, ბელგია, ბულგარეთი და ჩერნოგორია ითამაშებენ. ასე რომ, ყველა მეტოქე ძლიერია და რთული ბრძოლები გველის. დაუმატეთ ამას ის ფაქტი, რომ თბილისში ნბა-ს ბევრი ვარსკვლავი ჩამოვა, რაც ყველასთვის კიდევ უფრო ზრდის გამოწვევის სერიოზულობას. თუმცა, ვფიქრობ, რომ კარგიცაა ჯგუფურ ეტაპზევე ძლიერ მეტოქეებთან ომები, რადგან მომდევნო რაუნდისთვის უკეთ მოვემზადებით.

მოგეხსენებათ, ძალზე ნიჭიერი ბიჭები გვყავს და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჩვენით სამშობლომ იამაყოს. დიახ, გაგვაჩნია საკმარისი პოტენციალი, რათა ღირსეული კონკურენტები დავამარცხოთ. ამაში დარწმუნებული ვარ და მოუთმენლად ველი ტურნირის დაწყებას.

არ დავმალავ: ჩვენი მიზანი რაც შეიძლება მეტი მატჩის მოგებაა და ქართველი გულშემატკივარი ამაში დიდ დახმარებას გაგვიწევს. იმ შემთხვევაში, თუ საუკეთესო უნარებს გამოვავლენთ, პლეი-ოფში გავალთ და შანსი იქაც გვექნება. ამ სტადიაზე ფავორიტები აღარ არსებობს“.

რაც შეეხება „ჯვაროსანთა“ კაპიტან **თორნიკე შენგელიას**, „მილანთან“ ფინალური სერიის მეა-5 შეხვედრაში 84:78 გამარჯვების შემდეგ მისმა „ვირტუსმა“ ანგარიში 2:3-მდე შეამცირა და სკუდეტოს მოხვეჭის შანსი შეინარჩუნა. ბოლონიელთა ქართველი ლიდერი პარტნიორებს 30 წუთში მოგროვებული 15 ქულით, 2 მოხსნით, 5 პასითა და 1 დაფარებით შეეწია, თანაც 6 ქულა კრიტიკულ ვითარებაში მიითვალა.

სამწუხაროდ, ეს სერჯიო სკარიოლოს გუნდის უკანასკნელი გაბრძოლება აღმოჩნდა, რადგან სერიის მე-6 შეხვედრაში ეტორე მესინამ პირწმინდად მოუგო ტაქტიკური დუელი ესპანელ კოლეგას — 81:64 (4:2) და შეგირდები სკუდეტომდე მიიყვანა. აღსანიშნავია, რომ ლომბარდიელებმა პირველივე პერიოდში მოიპოვეს საჩემპიონო უპირატესობა — 29:16. **თორნიკე შენგელია** — 8 ქულა და 4 მოხსნა 20 წუთში.

◎ ბრძენთა თამაში



თეთრები იწყებენ და იგებენ

თრ. 1.მფ f2; 2.ე c1; 3.ხ g4; 4.მმ a7, g5; 5.პპ a4, b2, b3, c2, d4, e3.

შვ. 1.მფ d5; 2.ე h8; 3.ხხ a6, b4; 4.მმ c3, g7; 5.პპ b5, c7, d6, e4, f7, g6, h7.

ამოხსნა

1.ხg4-d7 ხa6-b7 2.მa7:b5 ხb4-a5 3.პb3-b4 ხa5-b6 4.მb5:c3+ მფd5-c4 5.ხd7-b5+ მფc4:b4 6.მc3-a2+ მფb4-a5 7.პb2-b4×



ოთარ შონია

საფეხბურთო მოზაიკა

გაჭიანურებული სანაკრებო პაუზის შემდეგ განახლდა „კრისტალბეთ“ ეროვნული ლიგა, რომელშიც კიდევ უფრო დაწინაურდა ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი „ბათუმი“.

მართალია, ზღვისპირელთა თავკაცმა **გია გეგუჩაძემ** კვარაცხელია და დავითაშვილი დაასვენა, მაგრამ მათ პარტნიორებს „გაგრის“ დამარცხება მაინც არ გასჭირვებიათ — 3:0 (კობახიძე, გაფრინდაშვილი, ჯილაური).

უიღბლოდ დაწყებული მე-17 ტურის ცენტრალური შეხვედრა მოიგო წყალტუბოს „სამგურალმა“ თბილისის „დინამოსთან“ — 2:1 (ბაშალეიშვილი, კალანდარიშვილი; ოსეი). აღსანიშნავია, რომ იმერლებმა უკვე ზედიზედ მე-6 მატჩი დაასრულეს ტიტულოვან მეტოქესთან წაუგებლად, რომლის თავკაცი კახი ცხადაძე უმუშევარი გახდა.

დანარჩენი შედეგები: „ლოკომოტივი“ — „საბურთალო“ 2:1 (ჭიაბრიშვილი, ანდრონიკაშვილი, ვინისიუსი; ეს რკინიგზელთა პირველი გამარჯვებაა), „ტორპედო“ — „სიონი“ 3:0 (მჭედლიძე, შულაია — 2), „კახეთი“ — „დილა“ 0:0.

სატურნირო მდგომარეობა: „ბათუმი“ — 38, „სამგურალი“ — 33, „დინამო“ — 32, „დილა“ — 30, „საბურთალო“ — 23, „ტორპედო“, „თელავი“ — 21-21, „გაგრა“, „სიონი“ — 17-17, „ლოკომოტივი“ — 3 ქულა.

ბომბარდირი: ფლამარიონი („ბათუმი“) — 10 გოლი.

* * *

როგორც მოგეხსენებათ, 2028 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს პირველად ერთბაშად 3 ქვეყანა უმასპინძლებს და მასში ასევე პირველად 16 სამგუნდიან ჯგუფში გადანაწილებული 48 ნაკრები ითამაშებს.

ამ დღეებში ფიფამ ის ქალაქები დაასახელა, სადაც მომდევნო მუნდიალის შეხვედრები გაიმართება:

აშშ — ატლანტა, ბოსტონი, დალასი, ჰიუსტონი, კანზას სიტი, ლოს ანჯელესი, მაიამი, ნიუ იორკი ან ნიუ ჯერსი, ფილადელფია, სან ფრანცისკო, სიეტლი;

კანადა — ტორონტო, ვანკუვერი;

მექსიკა — მეხიკო, მონტერეი, გვადალახარა.

აცტეკების სამშობლოს სარეკორდოდ — მესამედ გამოუცხადეს ნდობა, ხოლო შტატებს ეს პატივი მეორედ ხვდა წილად.

* * *

სიმბოლურია, რომ ევროპის წამყვანი ქვეყნებიდან პირველნი ეროვნულ ჩემპიონატში ფეხბურთის სამშობლოს პრემიერლიგის კლუბები ჩაებმებიან, რაც ყატარის მუნდიალის ნოემბერ-დეკემბერში გამართვითაა გამოწვეული.

გთავაზობთ ამ დღეებში გამოქვეყნებული ინგლისური კალენდრის პირველი ტურის შეხვედრათა განრიგს:

5 აგვისტო. კრისტალ პალასი — არსენალი;

6 აგვისტო. ფულჰემი — ლივერპული, ბორნმუთი — ასტონ ვილა, ლიდსი — ვულვზი, ლესტერი-ბრენტფორდი, ნიუკასლი — ნოტინგემი, ტოტენჰემი — საუთჰემპტონი, ევერტონი — ჩელსი;

7 აგვისტო. მანჩესტერი — ბრაიტონი, ვესტ ჰემი — სიტი.

◎ კორტზე

სანქციას, ტრავმას...

უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში პირველად წლევანდელ უიმბლდონზე მსოფლიო რეიტინგის პირველი და მეორე ნომრები ვერ ითამაშებენ, ოღონდ სხვადასხვა მიზეზით.

კერძოდ, თუ საერთაშორისო კლასიფიკაციის ლიდერს — **დანიილ მედვედევს** რუსეთის უკრაინაში შეჭრის გამო დაედო სანქცია, მისი უახლოესი გერმანელი მდევარი **ალექსანდრ ზვერევი** როლან გაროსზე მიღებული მძიმე ტრავმის შემდეგ მკურნალობს და კორტზე კიდევ კარგახანს ვერ გამოვა.

ამასობაში ირკვევა, რომ სათუოა ლონდონში დიდი მუზარადის ტურნირების 22-გზის ტრიუმფატორის **რაფაელ ნადალის** ჩასვლა, რომელიც ასევე ძველ იარებს იშუშებს.

ვიტალი კლიჩკო: ხალხს ახლა არ ესმის, რომ ეს ომი რუსებისთვისაც ტრაგედიაა!

კიევის მერი, ვიტალი კლიჩკო აცხადებს, რომ რუსეთის პრეზიდენტი უკრაინასა და რუსეთში მილიონობით ადამიანის ცხოვრებას ანადგურებს.

„ეს ომი ტრაგედიაა რუსებისთვის და რუსეთის ფედერაციისთვისაც ტრაგედიაა. ხალხს ეს ახლა არ ესმის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ რეალობას ძალიან მალე გააცნობიერებს. რუსები კვდებიან – რისთვის? პუტინის ამბიციისთვის?“, – ამბობს კლიჩკო.

იენს სტოლტენბერგი: უკრაინაში ომი შესაძლოა, წლები გაგრძელდეს

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელის განცხადებით, უკრაინაში ომი შეიძლება წლების განმავლობაში გაგრძელდეს.

იენს სტოლტენბერგმა Bild am Sonntag-თან ინტერვიუში თქვა, რომ უკრაინული ჯარებისთვის უახლესი იარაღის მიწოდება ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონის რუსეთის კონტროლისგან გათავისუფლების შანსს გაზრდის.

„ჩვენ უნდა მოვემზადოთ იმისთვის, რომ ამას შეიძლება წლები დასჭირდეს. ჩვენ არ უნდა შევწყვიტოთ უკრაინის მხარდაჭერა მაშინაც კი, თუ ხარჯები მაღალია, არა მხოლოდ სამხედრო მხარდაჭერისთვის, არამედ ენერგორესურსებისა და სურსათის ფასების ზრდის გამო“, – თქვა სამხედრო ალიანსის გენერალურმა მდივანმა.

რუსულ აგრესიას უკვე 323 უკრაინელი ბავშვი ემსხვერპლა!

უკრაინის გენერალური პროკურატურის ცნობით, რუსულ აგრესიას უკვე 323 უკრაინელი ბავშვი ემსხვერპლა.

მათივე ინფორმაციით, დაშავებული ბავშვების რაოდენობა უკვე 580-ს აღემატება. 18 ივნისის მონაცემებით, რუსეთის შეიარაღებული აგრესიის შედეგად უკრაინაში სულ 323 ბავშვი დაიღუპა, 583 კი დაშავდა. ეს რიცხვები საბოლოო არაა. მიმდინარეობს სამუშაოები დროებით ოკუპირებულ და უკვე გათავისუფლებულ ტერიტორიებზე ამ სტატისტიკის დაზუსტების მიზნით...

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

საქართველო უკრაინელთათვის მეორე სახლია!

საქართველოში უკრაინის საქმეთა დროებითი რწმუნებული ანდრეი კასიანოვი თბილისში, ლტოლვილთა მსოფლიო დღის აღსანიშნად გამართულ სოლიდარობის მარშს დაესწრო.

„ჩვენი ქვეყანა ამ დღეს რუსული აგრესიის პირისპირ ხვდება. საუბედუროდ, ძალიან ბევრი ლტოლვილი გვყავს. ეს ხდება 21-ე საუკუნეში. მოხარულები ვართ და ყველას მადლობას ვუხდით იმ მზრუნველობისთვის, რომელსაც უკრაინელი ლტოლვილების მიმართ იჩენთ. საქართველო მათთვის მეორე სახლია“, – აღნიშნა უკრაინის საელჩოს წარმომადგენელმა.

ბათუმში „ტვ პირველის“ ოპერატორი სცემეს

ბათუმში „ტვ პირველის“ ოპერატორს მცირეწლოვანი შვილების თვალწინ სცემეს. ტელეკომპანიის გადამღები ჯგუფი ღამის ეთერში სტუმრის ჩასართავად ემზადებოდა, როცა მათთან უცნობი პირები მივიდნენ და გინება დაუწყეს, მოგვიანებით, კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

თემურ ზოიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად დამაკმაყოფილებელია. სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტზე მოკვლევა დაიწყო.

ქობულეთში 5 საბავშვო ბაღი აშენდება, 20 სკოლა კი განახლდება!

ქობულეთში, მიმდინარე წელს 5 საბავშვო ბაღი აშენდება, 20 სკოლას კი რეაბილიტაცია ჩაუტარდება, – ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის მთავრობა ავრცელებს.

„აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ, თორნიკე რიჟვაძემ, ქობულეთის მერთან, ლევან ზოიძესთან ერთად სოფელ ლეღვაში, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი დაათვალიერა. ბაღი 105 აღსაზრდელზეა გათვლილი. ქობულეთში 5 საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს. მთავრობის თავმჯდომარემ სოფელ ზენითის საჯარო სკოლის ახლად აშენებული სპორტული დარბაზი დაათვალიერა. სპორტული დარბაზი აღჭურვილია თანამედროვე სპორტული ინვენტარით, სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს, რაც მოზარდებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში კომპლექსურად მომზადების შესაძლებლობას მისცემს. 2022 წელს ქობულეთის მუნიციპალიტეტში ჯამში, 20 სკოლის სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია განხორციელდება“, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

30 წლის შემდეგ, ლაგოდეხში მეტეოროლოგიური მონაცემების შეგროვება განახლდება

ადგილობრივი ახალგაზრდების ინიციატივით, მოსახლეობიდან მიღებული ფინანსური შემოწირულებებით ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების 2 ადგილზე მეტეოსადგურები განთავსდება.

ლაგოდეხში, გუშინ შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა, სადაც კამპანიაში მონაწილე ახალგაზრდები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სერტიფიკატებით დააჯილდოვეს. იდეის ავტორების თქმით, მეტეოსადგურების აღდგენა ხელს შეუწყობს როგორც ფერმერებს სამეურნეო საქმიანობის უკეთ დაგეგმვაში, ასევე დაეხმარება ტურიზმის სექტორს დაცულ ტერიტორიებზე ტურების ეფექტურად დაგეგმვაში, მეტეოსადგურებისგან მიღებულ ინფორმაციას კი გამოიყენებენ ეკოკლუბები და მკვლევრები, რომლებსაც ტემპერატურაზე, ქარის სიჩქარესა და ტენიანობაზე დაკვირვების და ანალიზის საშუალება ექნებათ.

აფხაზეთიდან დევნილებს სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდათ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებით და „ქართული ოცნება – ჯანმრთელი მომავლის“ მხარდაჭერით აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს უფასო მრავალპროფილური სკრინინგული გამოკვლევები ჩაუტარდათ.

აქციის ფარგლებში, 500-მდე აფხაზეთიდან დევნილს რუხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში სხვადასხვა პროფილის მაღალკვალიფიციური ექიმ-სპეციალისტის კონსულტაცია, ლაბორატორიული და რადიოლოგიური კვლევები ჩაუტარდა. ასევე, დევნილ ბენეფიციარებს დანიშნულების შესაბამისად საჭირო მედიკამენტები უფასოდ გადაეცათ.

სამედიცინო აქცია კოვიდ-19-ის პრევენციის მოქმედი რეგულაციების სრული დაცვით მიმდინარეობდა. პროგრამის მიზანია აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სხვადასხვა დარღვევათა ადრეული დიაგნოსტიკა და შემდგომი მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრა.

რუსთავში, 3 ადამიანის დაჭრის საქმეზე, ერთი პირი დააკავეს

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით, 2004 წელს დაბადებული ლ.ვ. დააკავეს, – ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქალაქ რუსთავში, ურთიერთშელაპარაკებისას, სამი პირი – 1992 წელს დაბადებული გ.ა., 1988 წელს დაბადებული ლ.შ. და 1994 წელს დაბადებული ლ.ხ. დანის გამოყენებით დაჭრა, შემდეგი კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი სამი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდათ. ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამართალდამცველებმა ლ.ვ. ცხელ კვალზე დააკავეს. სამი პირის მიმართ ჩადენილ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილით მიმდინარეობს“, – განმარტავს უწყება.

ბათუმში ქვეითად მოსიარულე ბავშვებს ავტომობილი დაეჯახა, ერთი მცირეწლოვანი გარდაიცვალა!

ბათუმში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ერთი მცირეწლოვანი გარდაიცვალა, მეორე კი დაშავდა. დაშავებული ბათუმის დედათა და ბავშვთა სამედიცინო ცენტრშია მოთავსებული.

არსებული ინფორმაციით, მსუბუქი ავტომობილი ქვეითად მოსიარულე მცირეწლოვან და-ძმას დაეჯახა, ბავშვები დედასთან ერთად იმყოფებოდნენ.

„რანინა“ მარიამ ბიგვავამ მოიგო!

პირველი არხის პროექტ „რანინას“ მეხუთე სეზონის გამარჯვებული და საქართველოს ხმა 2022 წლის საბავშვო ევროვიზიაზე მარიამ ბიგვავა გახდა. შესაბამისად, სწორედ **მარიამ ბიგვავა** წარადგენს საქართველოს 2022 წლის საბავშვო ევროვიზიაზე. პროექტის ფინალში მარიამ ბიგვავასთან ერთად მონაწილეობდნენ ოთო ბაზერაშვილი, ვაჩე ღვინიაშვილი და ნიკოლოზ ხარატი.

ნიკა ემუხვარის პერსონალური გამოფენა სიღნაღში

სიღნაღის მუზეუმი აფხაზი მხატვრის ნიკა ემუხვარის პერსონალურ გამოფენას მასპინძლობს.

ახალგაზრდა მხატვრის აბსტრაქტული ჟანრის 30 ფერწერული ნამუშევარი აქვს წარმოდგენილი, რომლის კონცეფცია სრულად სიყვარულის თემას ეფუძნება. მხატვრის თქმით, აღნიშნული გამოფენა ასევე ეხმიანება აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებს.

„პირველი მესიჯი, რაც ჩემს ნახატებშია, ეს არის გახსნილი გონება და სიყვარული. მინდა, რომ ხალხმა ეს იგრძნოს — სიყვარული მსოფლიოში, სიყვარული ხალხის და პირველ რიგში, ჩვენს ოჯახებში. ყველგან. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ერთად! ჩვენ ერთმანეთის უნდა გვესმოდეს. ვფიქრობ, ეს ყველაზე მნიშვნელოვანია“, — განაცხადა ნიკა ემხვარმა. ნამუშევრები სიღნაღის მუზეუმში 31 ივლისის ჩათვლით იქნება წარმოდგენილი.

ჩინელი ქალის მიერ ნაყიდი ლეკვი დათვის ბელი აღმოჩნდა

ჩინეთში, იუნანის პროვინციაში მცხოვრებმა ქალმა სუ იუნმა შვებულებაში ყოფნისას ტიბეტური მასტიფის ლეკვი იყიდა და მას ორი წელი ზრდიდა, ვიდრე გაიგებდა რომ ის ჰიმალაიური დათვია...

სუ იუნის განცხადებით, თავდაპირველად ის „ლეკვის“ მადამ დააეჭვა — ძაღლი დღეში ერთ ყუთ ხილს და ორ სათლ ლაფშას ჭამდა. კითხვები ქალს მას შემდეგ გაუჩნდა, რაც „ძაღლმა“ უკანა თათებზე სიარული დაიწყო. სუ იუნმა ვეტერინარები გამოიძახა, რათა გაერკვია, ვინ ცხოვრობდა მის სახლში. სპეციალისტებმა ცხოველი დაათვალიერეს და განაცხადეს, როს ის არა ძაღლი, არამედ გადაშენების პირას მდგარი ჰიმალაიური დათვია, რომელიც ამასობაში 113 კილოგრამს იწონიდა.

ფაზისის აკადემიის განცხადება

გაზეთებში „საქართველოს რესპუბლიკასა“ (2022 წლის 15 ივნისის №74 (9412) და „ლიტერატურულ საქართველოში“ (2022 წლის 17 ივნისის №14 (4049)) გამოქვეყნებულია განცხადება იმის შესახებ, რომ მიმდინარე წლის 25 ივნისს თითქოს გაიმართება ფაზისის (კოლხეთის) საერო-სამეცნიერო აკადემიის რიგგარეშე ყრილობა.

გაცნობებთ, რომ აღნიშნული ფაქტი სინამდვილეს არ შეესაბამება და არის მიზანმიმართული სიცრუე, რადგანაც ზემოაღნიშნული ყრილობის მოწვევის ორგანიზატორი არის არაუფლებამოსილი პირი, ბატონი ვაჟა ეგრისელი, რომელიც თავის თავს უწოდებს აკადემიის პრეზიდენტს. ფაქტი კი სხვაა, მან დაახლოებით 3 წლის წინათ დატოვა აკადემია.

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ მითითებული ფაზისის აკადემიის წევრები ემიჯნებიან განცხადების შინაარსს და არც საქმის კურსში არიან.

ასეთ ფონზე, ბუნებრივია, ზემოაღნიშნული განცხადების გამოქვეყნებამ ფაზისის აკადემიის დამფუძნებლების, გამგეობისა და წევრების სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია.

ᲤᲐᲖᲘᲡᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

CNN წალკის კანიონის პანორამული ხიდის შესახებ წერს

წალკის კანიონის პანორამული ხიდის შესახებ **CNN-მა სტატია გამოაქვეყნა.** გამოცემა წერს, რომ ხიდის მონახულებამდე, მისი სიმაღლიდან გამომდინარე, ვიზიტორს შესაძლოა ძლიერი ალკოჰოლის მიღებაც კი დასჭირდეს.

„ფოლადისა და მინისგან დამზადებული ხიდის მშენებლობას დაახლოებით სამი წელი დასჭირდა, მის ოფიციალურ გახსნას 14 ივნისს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაესწრო“, — წერს CNN-ი. მედიასაშუალება ხაზს უსვამს, რომ ხიდის გამორჩეული მახასიათებელი მრავალდონიანი ბარია.

„როგორც ამბობენ, ის მსოფლიოში ყველაზე დიდი და ყველაზე დიდ სიმაღლეზე დაკიდებული ნაგებობაა. გავრცელებული ინფორმაციით, ეს ადგილი გინესის რეკორდების წიგნში შესატანადაა წარდგენილი“, — წერს CNN.

საქართველოში ისე დაისვენებთ, როგორც საკუთარ სახლში

პორტუგალიის სამოგზაურო გამოცემები Opcaoturismo lf viagenssapo საქართველოს სათავგადასავლო ტურისტულ მიმართულებას ვრცელ სტატიებს უძღვნიან.

მედიის წარმომადგენლებმა საქართველოში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პრესტურის ფარგლებში იმოგზაურეს. პორტუგალიელმა ჟურნალისტებმა სტატიებითა და ინსტაგრამპოსტებით მკითხველებსა და სოციალური ქსელის მომხმარებლებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, დაცული ტერიტორიები და ქართული სამზარეულო გააცნეს.

„საქართველოში ისე დაისვენებთ, როგორც საკუთარ სახლში. ვფიქრობ, პორტუგალიელი ტურისტებისთვის ეს სლოგანი ყველაზე შესაფერისი იქნება. საქართველო გამორჩეულია ხალხით, ლანდშაპტით, ბუნებით. ძალიან ბევრი მსგავსებაა პორტუგალიასთან, ტრადიციებით და ღირებულებებით“, — წერს Opcaoturismo-ს ჟურნალისტი, რომელმაც საქართველოში იმოგზაურა. პრესტურის ხუთი მონაწილე თბილისს, მცხეთას, უფლისციხეს და ქვიშხეთს ეწვია. ბლოგერებმა და ფოტოგრაფებმა ბაღდათი და საირმე მოინახულეს, დაათვალიერეს — ვანი, მარტვილი, სოფელი გორდი, ეწვივნენ პრომეთეს მღვიმესა და წყალტუბოს.

„იმერეთსა და სამეგრელოში ორი ხეობაა, რომლის სილამაზეც სუნთქვის შემკვრელია. ოკაცეს და მარტვილის კანიონები ბუნების ძეგლებია. აქ მოხვედრა ლაშქრობით არის შესაძლებელი. ხედებით რომ დატკბეთ, ორივე კანიონს დიდი ხნით უნდა ეწვიოთ“, — ასე აღწერს viagens.sapo-ს ჟურნალისტი საქართველოში მოგზაურობას. პრესტური პორტუგალიაში საქართველოს საელჩოს ჩართულობით გაიმართა. პრესტურის მიზანი საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია პორტუგალიაში და ახალი ტურისტული ნაკადების მოზიდვაა. ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲟᲐᲕᲨᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №170

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲙᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲗᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ — ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ �გᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
ᲨᲗᲡ „ᲗᲘᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ �გᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲑᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲕᲖᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 22 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.9239; ᲔᲕᲠᲝ - 3.0757
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.5920;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 5.1075; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.1689;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.7241;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.9123.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 20 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +15, ᲓᲦᲔ +32
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ +12, ᲓᲦᲔ +30
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +16, ᲓᲦᲔ +32
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ +14, ᲓᲦᲔ +32
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: ᲦᲐᲛᲔ +20, ᲓᲦᲔ +32

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge